ვერსია
№38 (1679) 11 — 17 ოქტომბერი ოთხშაბათი 2023 წელი
1 ლარი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.versia.ge

„სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო პროცესში საქართველოს ჩართულობა ყველაზე სწორი არჩევანია“

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშის მიხედვით

გადაიზრდება თუ არა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მესამე მსოფლიო ომში

მამუკა არეშიძის პროგნოზები და შეფასებები

რა არის ღაზას სექტორი და როგორ დაიწყო ომი ისრაელ-პალესტინას შორის

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ქალების ფერმა – შემაძრწუნებელი კრიმინალური ამბავი

„როცა გოგო გასაუპატიურებლად მიჰყავდათ, აშიშვლებდნენ, წყლის ჭავლით ბანდნენ და ორი-სამი დღის განმავლობაში, რიგ-რიგობით აუპატიურებდნენ“

რა გეგმები აქვს საარჩევნოდ და აპირებს თუ არა ვინმესთან გაერთიანებას ანა დოლიძე

„დარწმუნებულები ვართ, რომ ბარიერს გადავლახავთ“

კახეთში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტზე პოლიციამ ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო ტარების ფაქტებზე, 1996 წელს დაბადებული, ძებნილი, ა.ს. დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა მამაკაცმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, 2009 წელს დაბადებულ ა.შ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ა.ს. ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე, 143-ე და 236-ე მუხლებით, რაც არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებას გულისხმობს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ა.შ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო ქორწინების იძულების ფაქტზე, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 150-ე პრიმა მუხლით. საქმეზე ტარდება ყველა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

ვახტანგ გომელაურმა თბილისის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ თბილისის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართეს.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან დანაშაულის სტატისტიკის კვარტალური ანგარიში მოისმინა და დეტალური ინფორმაცია მიიღო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გატარებულ და მიმდინარე რეფორმებზე, დანაშაულთან ბრძოლის შედეგებსა და საზოგადოების უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომლებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა.

სამუშაო თათბირზე, ასევე, აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება პოლიციელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული ეფექტიანი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ა.შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, ბრალდებულმა თბილისში, დადიანის ქუჩაზე მდებარე სარდაფში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მეგობარს – 1981 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს., რის შემდგომაც ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული თბილისში დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღები ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ალექსანდრე დარახველიძემ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელებული კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების ერთწლიანი სასწავლო პროგრამის მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დააჯილდოვა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების თემაზე ჩატარებული ერთწლიანი სასწავლო პროგრამის დასკვნით ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა.

დასკვნითი ღონისძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა და მას გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ალან პერსელი, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს, როგორც თეორიული ცოდნა, ასევე, პრაქტიკული გამოცდილება ელექტრონულ-ციფრული მტკიცებულებების ეფექტური გამოძიების მიმართულებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს შესაბამისი აღჭურვილობა გადაეცათ.

ღონისძიების დასასრულს, ტრენინგის მონაწილეებს Windows-ის ციფრული მტკიცებულებების გამომძიებელი ანალიტიკოსის სერტიფიკატები გადაეცათ.

რა არის ღაზას სექტორი და როგორ დაიწყო ომი ისრაელ-პალესტინას შორის

ბოლო დღეებია, მსოფლიოს ყურადღება ისრაელისკენაა მიმართული. ყველაფერი კი შაბათს, 7 ოქტომბერს დაიწყო, როცა „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის“ – პალესტინის რადიკალური სამხედრო დაჯგუფების, ჰამასის მებრძოლები მოულოდნელად შეიჭრნენ ისრაელში, დაიკავეს ებრაული დასახლებები, დახოცეს ასობით ადამიანი და აიყვანეს ათობით მძევალი. ზოგადად, ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობა არასოდეს ყოფილა ანუ კონფლიქტს ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა სანამ ამ ისტორიას გადავავლებთ თვალს, გავიგოთ, რა არის ღაზას სექტორი.

ყველაფერი ცხელი ახლო აღმოსავლეთის წერტილის შესახებ

ღაზის სექტორი 360 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორიაა ისრაელს, ეგვიპტესა და ხმელთაშუა ზღვას შორის. ღაზის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილია, სადაც დაახლოებით 2,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ისრაელი აკონტროლებს ღაზის საჰაერო სივრცეს და მის სანაპიროს. აკონტროლებს იქ შემავალ და გამომავალ საქონელს. ანალოგიურად, ეგვიპტეც მკაცრად აკონტროლებს ღაზასთან საზღვარს.

ტერიტორია, უსაფრთხოების არგუმენტით, ბლოკადაშია 2007 წლის შემდეგ, რაც ღაზაში ხელისუფლებაში მოვიდა ჰამასი.

რა არის ჰამასი

ჰამასი პალესტინელების მიერ შექმნილი ძალადობრივი ჯგუფია, რომლის გაცხადებული მიზანი ისრაელის განადგურება და მისი ისლამური სახელმწიფოთი ჩანაცვლებაა.

ჰამასს მთლიანობაში, ან ზოგიერთ შემთხვევაში მის სამხედრო ფრთას, ტერორისტულ დაჯგუფებად მოიხსენიებს ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი. ჰამასს მხარს უჭერს ირანი, რომელიც აფინანსებს და აწვდის იარაღს.

კონფლიქტის ისტორია

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ხანგრძლივი და ღრმად ჩახლართული პოლიტიკური და ტერიტორიული დავაა. ხშირად ამ კონფლიქტის ფესვებს რომაულ პერიოდამდეც მივყავართ. მაშინ დღევანდელი ისრაელი და პალესტინური ტერიტორიები ცნობილი იყო პალესტინის სახელით. ბიბლიის თანახმად, აქვე იყო ებრაული სამეფოებიც, რის გამოც ებრაელები ამ მიწას უძველეს სამშობლოდ მიიჩნევენ.

რეგიონი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა იმპერიის ნაწილი იყო, მათ შორის რომის, ბიზანტიის, ოსმალეთის და ბრიტანეთის იმპერიები.

დღევანდელი კონფლიქტის ისტორია კი, დაახლოებით, ერთი საუკუნის წინ დაიწყო. მაშინ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, რომელსაც ახლა ისრაელ-პალესტინას ვუწოდებთ, ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო საუკუნეების განმავლობაში. აქ მეტწილად მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ძირითადად მუსლიმები, ქრისტიანები და მცირე რაოდენობით ებრაელებიც.

როცა ადგილობრივ არაბებში პალესტინური ეროვნული იდენტობა ყალიბდებოდა, ევროპაში ფეხს იდგამდა სიონიზმი, ებრაელთა მოძრაობა, რომელიც მრავალწლიანი დევნისა და შევიწროების შემდეგ, გადარჩენისთვის ებრაული სახელმწიფოს შექმნას ქადაგებდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ათასობით ათასი ევროპელი ებრაელი გადასახლდა ახლო აღმოსავლეთში, რომელსაც თავიანთ სამშობლოდ მიიჩნევდნენ.

შემდეგ იყო ჰოლოკოსტი, რამაც გამოიწვია კიდევ უფრო მეტი ებრაელის ემიგრაცია ევროპიდან. ამ დროს არსებობდა განსაკუთრებული თანაგრძნობა ებრაელთა მდგომარეობის მიმართ მთელ მსოფლიოში.

ყველაფერ ამის წინააღმდეგნი იყვნენ პალესტინელები და მათ გარშემო ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული არაბული სახელმწიფოები, რომლებიც ისრაელის შექმნას მორიგ დასავლურ იმპერიალიზმად აღიქვამდნენ.

რა არის ნაკბა

1947 წელს, გაერო-მ მხარეებს შესთავაზა პალესტინის დაყოფის გეგმა, რომლითაც ებრაელებსა და არაბებს ცალ-ცალკე სახელმწიფოები ექნებოდათ. იერუსალიმი კი საერთაშორისო ქალაქის სტატუსს მიიღებდა. ებრაელი ლიდერები თანახმა იყვნენ, არაბები – არა.

1948 წელს, ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც მოჰყვა მეზობელი არაბული სახელმწიფოების თავდასხმა. მათ შორის იყო ეგვიპტე, იორდანია, სირია და ერაყი. ომის შედეგად ასობით ათასი პალესტინელი არაბი იქცა ლტოლვილად. ეს მოვლენა ცნობილია როგორც „ნაკბა“, რაც არაბულად კატასტროფას ნიშნავს.

1967 წელს, ისრაელმა შეუტია ეგვიპტეს, იორდანიასა და სირიას და ექვსდღიან ომში სწრაფი გამარჯვება მოიპოვა – დაიკავა დაიპყრო დასავლეთ სანაპირო, ღაზის სექტორი, გოლანის სიმაღლეები და სინაის ნახევარკუნძული, რომელიც მოგვიანებით ეგვიპტეს დაუბრუნა.

მას შემდეგ მოხდა არაერთი აჯანყება პალესტინელების მხრიდან, რომლებიც მოითხოვენ თვითმმართველობას და დასავლეთ ნაპირზე ისრაელელების ჩასახლების შეჩერებას.

ისრაელსა და პალესტინას შორის რამდენიმე სადავო საკითხია, მათ შორის – პალესტინელი ლტოლვილების ბედი, უნდა მიეცეთ თუ არა მათ ებრაულ დასახლებებში, დასავლეთ სანაპიროზე დაბრუნების უფლება და, ალბათ, ყველაზე რთული – უნდა შეიქმნას თუ არა პალესტინის სახელმწიფო ისრაელთან ერთად.

ანალიტიკოსთა ვარაუდით, კონფლიქტის მოგვარება უახლოეს მომავალში შეუძლებელია.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მომზადებულ უახლეს სამშვიდობო გეგმას, რომელიც დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს დამტკიცდა, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ "საუკუნის გარიგებას" უწოდებდა, ხოლო პალესტინელები მას ცალხმხრივს უწოდებდნენ.

ტრამპი მხარეებს სთავაზობდა დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას და ისრაელის სუვერენიტეტის აღიარებას დასავლეთ სანაპიროს დასახლებებზე. ძირითადი საკამათო საკითხი იერუსალიმი იყო – ტრამპის გეგმით, ის „ისრაელის განუყოფელი დედაქალაქია“, თუმცა პალესტინელები ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმი, რომელიც ისრაელმა დაიპყრო 1967 წლის ომის დროს, ის მათი მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქია.

მომავალში, ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმების რეალიზებას ორივე მხარის თანხმობა დასჭირდება.

გადაიზრდება თუ არა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მესამე მსოფლიო ომში

მამუკა არეშიძის პროგნოზები და შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ისრაელის არმიისა და ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 700-ს გადააჭარბა „ჰამასის“ თავდასხმების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა. დაჭრილია 2 315 ადამიანი, ათეულობით მათგანი დაკარგულად ითვლება. პალესტინელთა ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღაზას სექტორზე ისრაელის დარტყმების შედეგად, დაღუპულია 413 და დაჭრილია 2 300 ადამიანი.
ისრაელში საომარი მოქმედებები 7 ოქტომბრიდან მიმდინარეობს, მას შემდეგ, რაც პალესტინელთა რადიკალურმა ისლამისტურმა მოძრაობა „ჰამასმა“ ისრაელის ქალაქებზე მიიტანა მასობრივი სარაკეტო შეტევა და ღაზას სექტორთან მოსაზღვრე რაიონებში ხმელეთიდანაც შეიჭრა. 8 ოქტომბერს, ისრაელის მთავრობამ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. ისრაელი-პალესტინის განახლებულ ომზე „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ამ კონფლიქტს ძალიან დიდი ისტორია აქვს, მაგრამ მოკლედ რომ ვთქვა – ოდითგანვე, ეს ტერიტორია იყო ებრაელთა სახელმწიფოს ტერიტორია. ორი ებრაული სახელმწიფო იყო – ისრაელი და იუდეა. შემდეგ პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა განაპირობა, რომ ამ ტერიტორიიდან ებრაელების დიდი ნაწილი განდევნილ იქნა მთელ მსოფლიოში და ეს ტერიტორიები დაიკავეს არაბებმა. მე-19 საუკუნის ბოლოდან, გამაერთიანებელი იდეა შეიქმნა მთელი მსოფლიოს ებრაელებისთვის, რომ დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სამშობლოში, ამ ტერიტორიას პალესტინა ერქვა. ასეთი ლოზუნგი იყო – „არ დაგივიწყებ იერუსალაიმ“ და მთელი მსოფლიოს ებრაელობა ამ იდეის ქვეშ გაერთიანდა, რომ დაბრუნებულიყვნენ ისრაელში. დიდი ბრძოლები გადახდათ და 1948 წელს, როგორც იქნა, დასავლეთის მხარდაჭერით, შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი. იმ დღიდან არაერთი ბრძოლა გადაიტანა ისრაელმა, გარშემო არაბებთან დაპირისპირების თვალსაზრისით. ეს ბრძოლები ძალიან მსხვილი იყო და, მათ შორის, განსაკუთრებული 1973 წლის ომი, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „განკითხვის დღე“. საქმე ისაა, რომ ახლანდელი თავდასხმა ამ ბრძოლის ზუსტად 50 წლის თავზე განხორციელდა. მაშინ 6 არაბული სახელმწიფო უტევდა ისრაელს და ისრაელმა გაიმარჯვა.

ასე რომ, არაბულ და ებრაულ დაპირისპირებას ღრმა ფესვები აქვს და როცა შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი, პალესტინურ ტერიტორიებზე, რომელიც დარჩა არაბების კონტროლქვეშ, შეიქმნა ორი ზონა. ორივეგან არაბები ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო პოლიტიკურმა ორგანიზაცია „ფათხმა“, რომელიც უფრო ლოიალური და მოლაპარაკებადია და მეორეში – „ჰამასმა“.

ეს ორივე ორგანიზაცია, საერთაშორისო თვალსაზრისით, პოლიტიკურ-ტერორისტულია. ორივე რელიგიური მიმართულების ორგანიზაციაა, სუნიტური ხასიათისა და ერთმანეთთანაც აქვთ დაპირისპირება. „ჰამასი“ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა, რომელსაც კონტაქტი აქვს ყველა იმ ძალასთან, რომელსაც პოლიტიკური გემოვნება ორიენტირებული აქვს ზუსტად ანტიისრაელურ პოლიტიკასთან, ან უნდა ისრაელისთვის დაძაბულობის შექმნა. ფულს იღებს არაბული სამყაროდან, მაგრამ როგორც ჩანს, არა მხოლოდ მისგან...

ახლა, ეს დაპირისპირება რომ დაიწყო, სამხრეთით, პალესტინის ტერიტორიაზე, ე.წ. ღაზას სექტორში ჰყავს ეს მტერი ისრაელს, ხოლო ჩრდილოეთით, ანალოგიური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლაა“, რომელიც ლიბანის ტერიტორიიდან უტევს ისრაელს. „ჰამასსა“ და „ჰესბოლას“ შორის განსხვავება ისაა, რომ „ჰესბოლა“ შიიტური ხასიათის ორგანიზაციაა, ირანზე ორიენტირებულია და აკონტროლებს ნახევარ ლიბანს. ამ ორი ორგანიზაციის შეტევა განიცადა ისრაელმა ამ ბოლო დღეების განმავლობაში და უნდა ითქვას, რომ „ჰამასის“ შეტევა იყო ბევრად უფრო მაღალორგანიზებული. წლების განმავლობაში, მუდმივად ბომბავდა „ჰამასი“ ისრაელის ტერიტორიას, მაგრამ ისრაელი უმკლავდებოდა, ახლა კი იყო მასობრივი შეტევა. სხვადასხვა მონაცემით, 5000-7000 რაკეტამდე იყო ნასროლი ისრაელის ტერიტორიაზე, პლუს, სახმელეთო შეტევა განხორციელდა 7 დასახლებული პუნქტის მიმართ...

– მედიით ვრცელდება განსაკუთრებული სისასტიკის შემცველი კადრები, პალესტინელების მხრიდან... თქვენი აზრით, რამ განაპირობა საკითხის ასე გამწვავება? ისრაელი ირანს მოიაზრებს ყველაფერ ამის უკან...

– ყველა მსხვილი მოთამაშე, რომელიც რეგიონში აქტიურობს, ამ პროცესში ჩართულია სხვადასხვა ფორმით. გეოპოლიტიკური წესრიგი ჩამოიშალა მსოფლიოში, რუსეთის ავანტიურის შემდეგ და ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ადგილი დაიკავოს და გავლენა მოიპოვოს „მზის ქვეშ“ იმ მომენტისთვის, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობა დაიწყება. ამიტომ, ყველა თავისას „ჩალიჩობს“... ყარაბაღისა და სხვა კონფლიქტების განახლება და დაკონსერვება ამ გეოპოლიტიკური ჯახის შედეგია.

– ეს ხომ არ არის კიდევ ერთი მსოფლიო ომის დასაწყისი?

– მსოფლიო ომს არ ველი, რადგან მსხვილი მოთამაშეები, როგორც წესი, ძირითადად, უკან დგანან, რუსეთის „დურაკული“ ხელისუფლების გამოკლებით, რომელმაც შეცდომა დაუშვა, ჰოდა, რუსეთი რევანშისთვის ემზადება, მაგრამ უკრაინის შემთვევაში კი არა, დანარჩენი მსოფლიოს მასშტაბით. რაც ხდება სხვადასხვა ადგილას, მსხვილი მოთამაშეების ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგია. ჩვენამდე არც აღწევს ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ხდება დანარჩენ მსოფლიოში, პრაქტიკულად, აფრიკის კონტინენტი ცეცხლშია გახვეული.

ტერიტორიული დავების, გაყინული კოფლიქტების განახლება, რელიგიურმა და ეთნიკურმა დაპირისპირებებმა ახალი ძალით იფეთქა აფრიკის კონტინენტზე და არა მხოლოდ იქ... სხვათა შორის, იგივე მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში. იქ შეიძლება, ასეთი მასშტაბური დაპირისპირებები არ არის, მაგრამ ისრაელი-პალესტინის დაპირისპირება კიდევ ერთხელ გვამცნობს, რომ ეს ლოგიკა სწორია.

ასე რომ, მესამე მსოფლიო ომზე არაა აქ ლაპარაკი, არამედ, ყველა ყველას წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მსოფლიო ომი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო გაყოფილია ორ დაპირისპირებულ ბანაკად, აქ კიდევ ყველა ყველას ებრძვის. ეს განსხვავებული ფორმულაა.

– მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას კონფლიქტების გაღვივება რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ დაიწყო... ეს ხომ არ ბადებს ეჭვს, რომ კვალი, შეიძლება, რუსეთს უკავშირდებოდეს?

– რასაკვირველია, რადგან რუსეთი ცდილობს, თავის მოწინააღმდეგეებს, დასავლეთს, შეუქმნას დისკომფორტი მსოფლიოს სხვა სივრცეებში იმისთვის, რომ სამაგიერო გადაუხადოს და შეამციროს თავისზე წნეხი უკრაინის ტერიტორიაზე.... მაგრამ მარტო რუსეთი არაა ამაში ჩართული. აშშ-ც არის ჩართული, ევროპული ქვეყნებიც, განსაკუთრებით, საფრანგეთი, რომელსაც რუსეთმა სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა აფრიკაში. ტრადიციული გავლენის ქვეყნებიდან, საფრანგეთს ფეხი უკვე ამოაკვეთინა რუსეთმა, მაგალითად, ნიგერიიდან და ჩადიდან... საფრანგეთისთვის ეს მძიმე დარტყმაა, რადგან გერმანულისგან განსხვავებით, ფრანგული ეკონომიკა ბევრად იყო დამოკიდებული კოლონიალურ საქონელზე.

დასასრული მე-5 გვერდზე

გადაიზრდება თუ არა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მესამე მსოფლიო ომში

მე-4 გვერდიდან

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებამ ევროკავშირისთვის რა მოიტანა – ერთი მხრივ, ძალიან დაეცა გერმანიის ეკონომიკა, რომელიც რუსულ იაფ გაზზე იყო დამოკიდებული და მეორე მხრივ, დაეცა ფრანგული ეკონომიკა, რომელიც კოლონიალურ საქონელზე იყო დამოკიდებული...

– მნიშვნელოვანია, დიდი ბრიტანეთიც რა როლს შეასრულებს ისრაელი-პალესტინის ომში... როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ სიონიზმის გააქტიურების დასაწყისში, დიდი როლი შეასრულა ბრიტანეთმა ებრაელების დაბრუნებაში ისრაელის ტერიტორიაზე...

– მაშინ კი დაუჭირა მხარი, მაგრამ მერე წინააღმდეგი იყო და 40-იან წლებში, სამმაგი ომი მიდიოდა. თუ არ ჩავთვლით თვითონ მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, 30-იან წლებში, ბრიტანეთი იყო წინააღმდეგი ებრაული ალიისა („ალია“ არის დაბრუნება) და ბრიტანულ ადმინისტრაციას შეტაკებები ჰქონდა ებრაულ პარტიზანულ რაზმებთან. მეორე მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდნენ, ბრიტანულ არმიაში იყო გაერთიანებული ებრაული სამხედრო კონტიგენტები, რომლებიც ნაცისტებს ებრძოდნენ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ისევ იგივე გაგრძელდა. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ძალისხმევით, 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, მიუხედავად ინგლისელების წინააღმდეგობისა...

ახლა კი უნდა ითქვას ერთი რამ – დიდი ბრიტანეთი არის მთავარი მოთამაშე ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში. არცერთ ქვეყანას ისეთი გამოცდილება არ აქვს ახლო აღმოსავლური პოლიტიკისა, როგორც ბრიტანეთს. ბრიტანელებთან შედარებით, ამერიკელები არიან ბავშვები... რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში – დაპირისპირება, კონფლიქტების გაყინვა, შერიგება, მოლაპარაკება და ა.შ. ყველაფერი ბრიტანელების გავლით ხდება. თუ რამე არასწორი ხდება, ე.ი. ამერიკელები არიან ჩართულნი, თუ რამე შედეგიანი ხდება, ე.ი. – ბრიტანელები. ასე რომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პოზიციას დაიკავებს დიდი ბრიტანეთი. ის ერთადერთი დასავლური ქვეყანაა, რომელსაც უპირობო გავლენა აქვს, მაგალითად, ერდოღანის მთავრობაზე.

– პალესტინურმა მხარემ რატომ არ გაითვალისწინა ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო უმაღლესი დონის მზაობა? სამხედრო აღჭურვილობასთან ერთად, ყველამ იცის, რომ ომისთვის ისრაელის ყველა მოქალაქეა მომზადებული, მათ შორის, ქალებიც...

– შეიცვალა დრო, ისრაელი მოშვებული დახვდა ამ შეტევას. ვერ იმუშავა ისე ეფექტიანად ისრაელის სპეცსამსახურებმა და „რკინის გუმბათმა“, როგორც იყო დაგეგმილი იმიტომ, რომ მოწინააღმდეგე მხარემაც ისწავლა ომი. ისწავლა, როგორ უნდა გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს.

აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია – რატომღაც, ყველა იმ ხიბლშია ჩავარდნილი, რომ თუ ომია, ე.ი. იდეოლოგიაა მთავარი. ამ შემთხვევაში, სხვა სიტუაციაა, ომი როცაა ახლო აღმოსავლეთში, უნდა ვიფიქროთ, არა მხოლოდ იდეოლოგიურ ფაქტორზე, არამედ, ფინანსურზეც. „ჰესბოლასა“ და „ჰამასის“ ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანია, ტივტივებდეს ზედაპირზე, ამიტომ საჭიროა მისთვის გამოწვევების მთელი სისტემის შექმნა, დიდი ფულის მიღება და რით დამთავრდება ეს ამბავი, ეს არაა მთავარი. მთავარი ეფექტის შექმნაა. პალესტინაში, წლების განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჩაიდო არაერთი მილიარდი დოლარი იმისთვის, რომ პალესტინის ადმინისტრაცია შემდგარიყო. იასირ არაფატი, ამ მხრივ, უნიკალური პიროვნება იყო, მან იცოდა, ფული როგორ ეშოვნა, მაგრამ არაფერი გაეკეთებინა. დღემდე ასეთი ვითარებაა ღაზას სექტორში და მის სამხრეთით რომ ნახოთ, როგორ არის მოწყობილი სანაპირო, როგორ ცხოვრობენ „ჰამასის“ ლიდერები, როგორი ვილები აქვთ, გაგიკვირდებათ. ე.ი. ერთია ღაზას სექტორი ისრაელის მიმდებარედ და მეორეა – მის სამხრეთით.

ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით – რამდენიმე დღის წინ, შედგა ოთხმხრივი შეხვედრა. რუსეთი, სირია, „ჰესბოლა“ და იორდანიის პალესტინური ორგანიზაციები შეხვდნენ. „ჰესბოლა“ და „ჰამასი“ ერთმანეთის მტრებიც არიან, რადგან ერთი სუნიტურია, მეორე კი – შიიტური. შეხვედრის ამოცანა იყო, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანი. რუსეთი სთხოვდა ამ ორგანიზაციებს, მათთვის გადაეცათ საარტილერიო ჭურვები, რადგან უკრაინაში მას დეფიციტი შეექმნა. „ჰამასი“ და „ჰესბოლა“ თანახმაა, გადასცეს, რადგან ზოგ შემთხვევაში, ეს ჭურვები აღარ გამოდგება საბრძოლველ სიტუაციებში. ამ შეხვედრაზე, არ ვიცი, ამ ჭურვების გარდა, შეიძლება, სხვა რამეზეც იყო ლაპარაკი და არაა გამორიცხული იმაზეც, რის შედეგსაც ვუყურებთ...

– თურქეთი რა პოზიციას იკავებს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში?

– ახლო აღმოსავლეთში რაც ხდება, თურქეთი რაღაც ფორმით ჩართულია, ამას გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ინფორმაცია ხელთ არ მაქვს. თურქეთის გარეშე, არაფერი ხდება, მისი ინტერესია, რომ ყველა ამ პროცესში, მას აზრს ეკითხებოდნენ და რაღაც ფორმით იყოს ჩართული იმისთვის, რომ შემდეგ ჰქონდეს ზეგავლენის მექანიზმი.

– საქართველოზე რას იტყვით, ბატონო მამუკა, რა პოზიცია უნდა გამოხატოს ამ ვითარებაში ჩვენმა სახელმწიფომ? პატარ-პატარა კონფლიქტების გაღვივებაზე რომ საუბრობდით, საქართველოში ტერიტორიები გვაქვს ოკუპირებული და რა მხრივ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე ქართულმა მხარემ?

– უბედურება ის არის, რომ ვერაფრით შევქმენით ისეთი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, თუ სამხედრო კომპონენტი, რომლითაც შეგვიძლია ვიტრაბახოთ. გაჩხერილი ვართ სახელმწიფოსა და ქვეყნის პრინციპებს შორის. ქვეყნიდან სერიოზულ სახელმწიფომდე ჯერ ვერ მივედით. გასაგებია, ტერიტორიული მთლიანობის საკითხიცაა და ბევრი სხვა, მაგრამ არც ის მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეები, რომლებიც ჩვენით არიან დაკავებულნი, განვითარების საშუალებას არ გვაძლევენ და პლუს ეს გაუთავებელი, პოლიტიკური იწილო-ბიწილო, რომელიც ქვეყანაში ხდება. მაგალითად, ის ინიციატივა, რომელიც წამოაყენა ქართულმა მხარემ, რაც გულისხმობს სამშვიდობო პლატფორმის შექმნას თბილისში, არის ჩვენთვის მაშველი რგოლი...

– სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკების კონტექსტში, ხომ?

– დიახ და სხვათა შორის, ალიევმა გასცა ამას პასუხი და ალიევის ეს ნათქვამი, რომელიც ამ პლატფორმას უერთდება და არც ფაშინიანია ამის წინააღმდეგი, თავისთავად, ძალიან კარგია, მაგრამ აზერბაიჯანმა ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა ევროკავშირთან. ევროკავშირი სანქციების რეჟიმზე ფიქრობს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნებისმიერი ასეთი პლატფორმა გამოიყენოს, სადაც თვითონაც შეიძლება იყოს მსხვილი მოთამაშე და ამისთვის გამოიყენოს დასავლეთთან დაახლოებული საქართველოს მხარე.

– და საქართველომ რა კონტექსტში უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა?

– საერთაშორისო რეზონანსისთვის, იმის დემონსტრირებისთვის, რომ სამშვიდობო პოლიტიკაა მისთვის მთავარი იმიტომ, რომ სხვა რამის შნო, ამ წუთში, არ გვაქვს. რასაკვირველია, შეგვიძლია, რბილი ძალის მეშვეობით, ძალიან ეფექტიანად მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ამას რატომღაც არ ვაკეთებთ და დაგვრჩა მარტო ეს სამშვიდობო პლატფორმა... თუ გამოვიყენებთ ამას, კარგია...

– ეს სამშვიდობო პლატფორმა ხომ არ იქნება კიდევ ერთი ხელშემწყობი საქართველოსთვის, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსანიჭებლად?

– რასაკვირველია, ხელშემწყობი იქნება...

„სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო პროცესში საქართველოს ჩართულობა ყველაზე სწორი არჩევანია“

მაკა რუხაძე

„თუ სომხეთი დათანხმდება, მყისიერად დავიწყებთ სამმხრივ შეხვედრებს საქართველოში“, – ეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილხამ ალიევის განცხადებაა საქართველოში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო პროცესში საქართველოს ჩართულობა „ყველაზე სწორი არჩევანია“. დიპლომატიურ ენაზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველო ოფიციალურად ხდება სამშვიდობო ფლაგმანი რეგიონში და ჰაბის ფუნქციასაც იძენს, რაც ევროკავშირის მიერ, ჩვენი ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭების წინ, წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, სიტუაცია არც ისე მარტივია, რადგან ამ ყველაფერს ამძაფრებს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც 7 ოქტომბერს, სერიოზულ ომში გადაიზარდა. 7 ოქტომბრის დილიდან, პალესტინურმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ – „ჰამასი“, რომელიც ღაზას სექტორს აკონტროლებს, მასობრივად დაბომბა ისრაელი. ისრაელში ოფიციალურად გამოცხადდა საომარი ვითარება და შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა. ისრაელის არმია ატარებს ოპერაციას „რკინის ხმლები“ და ახორციელებს საპასუხო საჰაერო დარტყმებს ღაზას სექტორში. დაღუპულია 700-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, დაჭრილია ათეულობით ჯარისკაცი, ტყვედ ჩავარდა ასეულობით ადამიანი...

ამ ფონზე, საინტერესოა, თავდაცვისა და უსაფრთხოების რა სტრატეგია აქვს არჩეული ქვეყანას, რომელმაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებაში, თუკი ასეთი ფაქტი შედგება, მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეასრულოს. გთავაზობთ თავდაცვის პოლიტიკას პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშიდან, რომლითაც 2023 წლის ივლისში, პარლამენტში წარსდგა.

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშის მიხედვით

ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის გაძლიერების მიზნით, გრძელდება ტოტალური თავდაცვის მიდგომის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც, პარტნიორებთან თანამშრომლობით, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების შემუშავება და განახლება. შემუშავდა საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული თავდაცვის ორგანიზების სტრატეგიულ ხედვას და ეროვნული თავდაცვის მიზნების შესაბამისად, მათი მიღწევის ერთიანი ძალისხმევის საფუძველსაც ქმნის. იგეგმება დოკუმენტის უწყებათაშორის ფორმატში განხილვა, ხოლო მისი დამტკიცება განიხილება რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ძირითადი კონტურების გამოკვეთის შემდეგ.

„2022 წლის 20 მაისს, აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში ორმხრივი კონსულტაციების ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივას, რომელსაც აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაჰყავს. საანგარიშო პერიოდში, შემუშავდა და წარდგენილ იქნა ორმხრივ შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივის ძალისხმევის ხაზების განხორციელების გეგმები. 2022 წელს, განხორციელდა გაერთიანებული ერთობლივი გაცვლითი წვრთნების სერიები. 2022 წელს აშშ-ის სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული უნივერსიტეტის (JSOU) მხარდაჭერით, საქართველომ უმასპინძლა რამდენიმე მნიშვნელოვან უწყებათაშორის კურსს, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მედეგობისა და წინააღმდეგობის შესაძლებლობების განვითარება. 2022 წლის 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით, საქართველომ წარმატებით უმასპინძლა აშშ-საქართველოს მრავალეროვნულ სწავლება – ღირსეულ პარტნიორს, რომელშიც ისტორიაში პირველად მონაწილეობა 20 ქვეყნის 2400-ამდე სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. მიმდინარეობს მომზადება 2023 წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი სწავლებებისთვის: მრავალეროვნული სწავლება – Agile Spirit 2023 (აშშ საქართველო) და მრავალეროვნული სწავლება – Maple Arch 2023 (კანადა-საქართველო). 2022 წელს, აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში, საქართველომ მიიღო 35 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო აშშ-ის თავდაცვის ავტორიზაციის 333 პარაგრაფის ფარგლებში, დამატებით, 33 მილიონი აშშ დოლარი“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, 2022 წელს, გერმანიის მთავრობამ, გერმანიის თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყო 21.8 მილიონი ევროს გრანტი, რომლითაც საინჟინრო აღჭურვილობა შეისყიდეს.

გრძელდება ნატო-ში გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა ფორმატის, პრაქტიკული მექანიზმისა და პროგრამის წარმატებით განხორციელება. თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულება დადებითად ფასდება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ და აისახება სხვადასხვა შეფასების დოკუმენტსა თუ ოფიციალურ განცხადებაში.

„საანგარიშო პერიოდში, სამხედრო პოლიციის ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია აქტიურად აგრძელებდა ნატო-ს მრავალეროვნულ სამხედრო პოლიციის ბატალიონთან თანამშრომლობას. საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა აღნიშნული ბატალიონის სრული წევრობისთვის ოფიციალურად გააკეთა განაცხადი. 2023 წლის მარტში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს ნატო-ს მიერ გადაეცა 6 საგამოძიებო-კრიმინალისტიკური მანქანა, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 560 520 ევროს.

გარდა ამისა, 2022 წლის ოქტომბერში, თავდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა კიბერუსაფრთხოების ინიციატივის ფარგლებში დაარსებულ „ინტერმარიუმის კიბერუსაფრთხოების კონფერენციას“, რომლის ფარგლებშიც ალიანსის, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა განიხილეს კიბერსივრცეში არსებული გამოწვევები და ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობა“.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერების მიზნით, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მონაწილეობდა ნატო-სთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების შესახებ სხვადასხვა დონეზე გამართულ შეხვედრაში და ეროვნულ დონეზე, შესაბამის უწყებებსა და ნატო-სთან მჭიდრო კოორდინაციით ახორციელებდა ერთობლივად განსაზღვრულ პრაქტიკულ ღონისძიებებს საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმართულებით.

2022 წლის ნოემბერში, საქართველომ პირველად უმასპინძლა ნატო-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების კომიტეტს. ვიზიტის ფარგლებში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე კომიტეტის სხდომა ჩატარდა.

„გრძელდება მუშაობა ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. 2022 წლის 7 დეკემბერს, ბრიუსელში, საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების პირველმა მოადგილეებმა შეხვედრა გამართეს ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტთან და განიხილეს უსაფრთხოების კუთხით არსებული საერთო გამოწვევები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და საქართველოს როლი რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობასა და დაკავშირებადობის განვითარების კონტექსტში. 2023 წლის 25 თებერვალს, თბილისში, გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მორიგი შეხვედრა. საანგარიშო პერიოდში, საქართველო აგრძელებდა ევროკავშირის მისიებში მონაწილეობას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში“.

პრემიერ-მინისტრის ანგარიშიდან ირკვევა, რომ სექტორული ინტეგრაციის კუთხით მიმდინარეობს ფორმალური მოლაპარაკებების პროცესი ევროპის თავდაცვის სააგენტოსა (EDA) და წევრ ქვეყნებთან ადმინისტრაციული შეთანხმების გაფორმების მიზნით.

ინტენსიურად მიმდინარეობს ევროკავშირთან თანამშრომლობა ევროპული სამშვიდობო მექანიზმის ფარგლებში, რომლის შედეგად, ევროპულმა საბჭომ, 2021 2023 წლებში, საქართველოს მხარდაჭერის სამი პაკეტი დაამტკიცა, სულ – 62 75 მილიონი ევროს ოდენობით. მისი მიზანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და იმ შესაძლებლობების განვითარებაა, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან საქართველოს აქტიურ თანამშრომლობას.

„თავდაცვის ძალების მზადყოფნის გაძლიერების მიზნით, ყურადღება დაეთმო საჰაერო თავდაცვის, ჯავშანსაწინააღმდეგო, სადაზვერვო, საინჟინრო და მობილურობის შესაძლებლობების განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცეცხლე-საარტილერიო საშუალებების განვითარებას. თავდაცვის ძალების შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე მობილიზებულია ეროვნული და საერთაშორისო რესურსი.

თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030-ის შესაბამისად, მდგრადი კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების შესაქმნელად დაგეგმილია კიბერსარდლობის ორგანიზაციული მოდელის შემოღება, რომლის მიზანიც კიბერგამოწვევებზე სწრაფი და კოორდინირებული რეაგირებაა“.

2022 წელს, საფუძველი ჩაეყარა კიბერსარდლობის შექმნისთვის საჭირო პირველ ეტაპს. საბრძოლო მოდელირების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა საბრძოლო მოდელირების სისტემის განვითარების გეგმის პროექტი და საბრძოლო მოდელირების სისტემის კონცეფციის პროექტი, რომლის დამტკიცება იგეგმება 2023 წლის ბოლოსთვის.

რა გეგმები აქვს საარჩევნოდ და აპირებს თუ არა ვინმესთან გაერთიანებას ანა დოლიძე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„დარწმუნებულები ვართ, რომ ბარიერს გადავლახავთ“

პოლიტიკურ გეგმებსა და მიმდინარე აქტუალურ თემებზე „ვერსია“ პარტია ხალხისთვის ლიდერ ანა დოლიძეს ესაუბრა:

– ქალბატონო ანა, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებით?

– რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობთ ხალხთან და ნომერ პირველ ამოცანად მიგვაჩნია პარტიის გაცნობა ხალხისთვის. ჩვენ არ გვქონდა დიდი ფინანსური რესურსი, როგორც სხვა პარტიებს. ცალკე ტელევიზია არ გვაქვს და ამ პირობების შესაბამისად, პარტიის შესახებ ამბავი მოსახლეობასთან ახლოს უნდა მივიტანოთ და ვაჩვენოთ, რას ვთავაზობთ...

– და რას სთავაზობთ ხალხს?

– სისტემურ სიახლეს, რეფორმებსა და სისტემურ განახლებას. ამომრჩეველს არ სჭირდება იმის ნახვა, რასაც უკვე ბევრი წელია, უყურებს. შესაბამისად, რა თქმა უნდა, ვაპირებთ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად და ჩართულნი ვართ აქტიურ კამპანიაში, რათა დავანახოთ ხალხს, თუ ვინ ვართ. აქტიურად ვიზრდებით, ბევრი ხალხი გვიერთდება, ყოველდღე ახალი შემადგენლობა მოდის...

– თქვენი ხედვით, რა მნიშვნელობა ექნება მომავალ, 2024 წლის არჩევნებს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივისთვის?

– ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს იქნება მაღალი მნიშვნელობის არჩევნები, ხალხი ამბობს ამას. სხვა შემთხვევაში, ასეთი აქტიური მოწადინება ხალხის მხრიდან, რომ შეუერთდნენ პარტიას, არ იქნებოდა. ჩემი აზრით, ეს არის იმის მანიშნებელი, რომ სასწორზე დევს ჩვენი ქვეყნის მომავალი და ხალხმა ეს კარგად იცის.

უახლოეს მომავალში, წარვადგენთ პარტიის განახლებულ დიდ გუნდს, უკვე წარვადგინეთ კლიპი, სადაც გუნდი ნაჩვენებია, რადგან ხალხს აინტერესებს, პარტიაში ვინ არის... უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ვართ სუფთა და კომპეტენტური ძალა, რომელიც იქნება ნამდვილად ახალი.

– გეგმავთ თუ არა სხვა პარტიებთან გაერთიანებას?

– გაერთიანებას არ ვგეგმავთ. ძალიან კარგი საქმიანი ურთიერთობები გვაქვს ოპოზიციურ სპექტრთან და გვაქვს საკითხობრივი ურთიერთობა სხვადასხვა თემაზე. ჩვენთვის წითელი ხაზები ურთიერთობისას არის „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ამ მიმართულებით, პირველი პარტია ვიყავით, რომელიც რაღაცას ამბობდა.

2020-ში, როცა პარტია დავაარსეთ, პირველებმა ვთქვით, რომ უნდა შეიქმნას ახალი ფრონტი ნაციონალური მოძრაობისა და „ოცნების“ ორპოლუსიანობის საპირწონედ. ამ მუშაობას ვაგრძელებთ, დარწმუნებული ვარ, დაკვეთა დიდია და შესაბამისად, მოსახლეობა ასეთ დამოუკიდებელ ძალას ხმას მოგვცემს.

– ესე იგი, მიიჩნევთ, რომ გაერთიანების გარეშე, დამოუკიდებლად, 5%-იან ბარიერს გადალახავთ?

– რაც შეეხება ბარიერს, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ გადავლახავთ იმიტომ, რომ წინა არჩევნებზე უმწირესი რესურსით და ერთთვიანი კამპანიით, მერის არჩევნებზე დავდეთ შედეგი. პარტია იყო ოთხი თვის შექმნილი, მაშინ ბარიერი გადავლახეთ, მე ავიღე იმ ძალიან მწვავე არჩევნების პერიოდში 5%. იმის შემდეგ, ამომრჩეველმა უფრო კარგად დაინახა, რომ ჩვენ არ გვახასიათებს კომპრომისები, ვართ თანმიმდევრულები, არ ვუერთდებით ვიღაცას იმიტომ, რომ გვაწყობს და მერე არ ვიშლებით, არ ვლანძღავთ...

გვაქვს მკვეთრი ხედვა და რეფორმების ჩამონათვალი და რაც მთავარია, ვართ ყველაზე სუფთა ძალა არსებულ სპექტრში. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, როგორც კი შევალთ აქტიურ ფაზაში, ამომრჩეველი ამას დაინახავს. მით უმეტეს, ჩვენ ვართ ძალა, რომელიც ორიენტირებულია პროგრესულ რეფორმებზე და იმაზე, რომ კეთილდღეობაში იყოს გათვალისწინებული ყველა ჩვენი მოქალაქე და არა ერთი პატარა კასტა ხელისუფლებასთან დაახლოებული ხალხისა.

– რა განწყობით და პროგნოზით ელოდებით ევროკავშირისგან საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების საკითხს და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს ასპექტი მომავალი არჩევნების ბედს გადაწყვეტს?

– სტატუსის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა რეალისტურები რომ ვიყოთ, დეკემბრიდან არჩევნებამდე შორია. ეს იქნება ერთ-ერთი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ყოველთვე იმდენი რამ ხდება, იქამდეც, ალბათ, ბევრი რამ მოხდება, თუმცა ამ სეზონისთვის მნიშვნელოვანია შედეგი.

რა თქმა უნდა, ძალიან გვჭირდება სტატუსი და შორს ვარ მოსაზრებისგან, რომ „ოცნებამ“ არ უნდა ისარგებლოს ამით. მთელი ქვეყანა თუ ვიქნებით უკეთეს ვითარებაში, ეს არჩევნებზეც იმოქმედებს და ზოგად გარემოზეც, დემოკრატიის მხრივ.

სამწუხაროდ, სტატუსი ფასდება არა მხოლოდ მოსახლეობის მიმართ კეთილგანწყობით, არამედ, კონკრეტული, აქტიური რეფორმებით. უკვე არაერთხელ გავიგეთ დასავლეთიდან შეფასება, რომ ეს რეფორმები სრულყოფილად წარდგენილი არ ყოფილა, რჩება კითხვის ნიშნები. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ გარკვეული დათქმები ამ გადაწყვეტილებაში იქნება.

რაც უნდა გვინდოდეს, რომ მოგვიტანოს შედეგი იმან, რომ ევროკავშირის მომხრე ვართ მოსახლეობა, სტატუსის გადაწყვეტილება ფასდება იმ დავალების მიხედვით, რაც მიღებული აქვს სახელმწიფოს და დავალება შესრულებული არაა. ფონიც ცუდია ამ მხრივ, შესაბამისდ, ვფიქრობ, რომ ევროპული პერსპექტივა დარჩება ჩვენთვის, თუმცა გადაწყვეტილებაში, გარკვეული დათქმები რეფორმებთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს.

რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა

ერთი შეხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ აუდიტში სერიოზული დარღვევები და ხარვეზები არ არის. თუმცა, სახელმწიფო აუდიტის შედეგად, გარკვეული ნაკლოვანებები მაინც გამოიკვეთა და მათ გამოსასწორებლად, ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებლებმა მთელი რიგი რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. დასკვნა, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტია, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

„ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად“, – ვკითხულობთ აუდიტის შესავალში, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მიუხედავად, მთელი რიგი ხარვეზები მაინც გამოვლინდა.

ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული.

„კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 1 400 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და არ არის შეფასებული. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასახულია 670 209 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივი, რომელზეც 2017-2018 წლებიდან ბრუნვა არ ყოფილა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აღნიშნული აქტივი, 2017-2018 წლებში, შესრულებული საპროექტო სამუშაოს ღირებულებაა, რომლის დაფინანსება მიმდინარე წლის ბიუჯეტითაც არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნული არაფინანსური აქტივიდან, მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა აუდიტის თარიღისთვის არ არის განსაზღვრული.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებსავარაუდოა. შესაბამისად, ისინი, შესაძლოა, არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხარვეზები გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები – 1 424 312 ლარის ოდენობით, რომელიც აღრიცხულია ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“. ეს თანხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ფულადი/ქონებრივი შენატანებია.

საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვის მიზნით, გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი, რაც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ, მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის, ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

„სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში, მუხლში – „ინვესტიციები წილობრივი ინსტრუმენტები“ თავდაპირველად აღრიცხული თანხა არ არის შეცვლილი იურიდიული პირების საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით. ამის გამო, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის სისწორესა და სისრულეზე. აღსანიშნავია, რომ მაკონტროლებელი ერთეულების მიერ არ არის გატარებული ქმედითი ღონისძიებები ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან მისადაგების მიმართულებით, რაც აქტივების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს“.

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციის მიხედვით, სამინისტრომ უნდა განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად, სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი, ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

ხარვეზები ინვენტარიზაციაში

ინვენტარიზაცია არის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების, ვალდებულებების, ასევე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთან, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2022 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები.

„ააიპ „აგროსერვის ცენტრის“ საინვენტარიზაციო მასალებში მითითებული აქტივების ადგილსამყოფელი და მდგომარეობა არ ასახავს რეალობას, ასევე არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი ან შტრიხკოდი, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ფორმალური ხასიათისაა. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და სარგებლობაში პირველადი გადაცემა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული“.

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№38 11 ოქტომბერი 2023 წ

ბათო ჯაფარიძე

ქალების ფერმა – შემაძრწუნებელი კრიმინალური ამბავი

„როცა გოგო გასაუპატიურებლად მიჰყავდათ, აშიშვლებდნენ, წყლის ჭავლით ბანდნენ და ორი-სამი დღის განმავლობაში, რიგ-რიგობით აუპატიურებდნენ“

სამწუხაროდ, ქართველ სამართალდამცავებს ნაკლები საერთაშორისო პრაქტიკა აქვთ. მართალია, ისინი არც ისე იშვიათად მიდიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად ევროპასა თუ აშშ-ში, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ორი მიზეზის გამოა არასაკმარისი. პირველი ის, რომ ევროპული დანაშაულები და კრიმინალური აზროვნება რადიკალურად განსხვავდება პოსტსაბჭოთა სივრცის დანაშაულისა და კრიმინალთა აზროვნეისგან, ხოლო რაც შეეხება აშშ-ს, იქ დანაშაულის საერთოდ სხვა სპეციფიკაა.

ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, ყველა რესპუბლიკის თანამშრომლებს ძალიან ბევრი მივლინება ჰქონდათ, 15 სახელმწიფო კოორდინირებულად მუშაობდა და კრიმინალებისთვის ყველაზე საშიში „საკავშირო ძებნის“ გამოცხადება იყო. ეს ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნას ჰგავდა, რადგან „რკინის ფარდის“ გამო, სსრკ-დან გასვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო და ამიტომ, გეძებდნენ იქ, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყავი. შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ, რუსეთში მოხდა და მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, ეს წარმოუდგენლად ჩანდა. მთავარი ის გახლავთ, რომ საქმის გასახსნელად, ლამის მთელი საბჭოეთი დაირაზმა, მაგრამ რეალურად, გამომძიებლები ვერაფერს გააწყობდნენ, რომ არა ერთი უბრალო შემთხვევა, თუმცა ამაზე მოგვიანებით და ქვემოთ იმასაც მოგითხრობთ, როგორ და რატომ შეცდა საბჭოთა წყობილება მაშინ, როცა დამნაშავეთა ჯგუფს სასჯელის უმაღლესი ზომა არ გამოუტანა. ყველაფერს კი, მოსკოვში, სახელგანთქმულ „მურ“-ში, იმ დროს მივლინებით მყოფი ქართველი გამომძიებელი გვიყვება.

„მოსკოვშსა და მის შემოგარენში, ძალიან გახშირდა ახალგაზრდა გოგონების გაქრობა. მათ შორის, ორსულებიც იყვნენ და ყველაფერი ძალიან უცნაურად ჩანდა. მაშინ უკვე იყო შემთხვევები, რომ გოგონებს მიწისქვეშა ბორდელებისთვის იტაცებდნენ, მთელ საბჭოთა კავშირში ნელ-ნელა იკრებდა ძალას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, უშუალოდ რუსეთშიც არეულობები იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, სამართალდამცავები გამართულად მუშაობდნენ და ამის მიზეზი ძლევამოსილი „კა გე ბე“-ს მიმართ არსებული შიში იყო. უშიშროება მოდუნების უფლებას არავის აძლევდა, ამიტომ ამ საქმის გამოძიება მთელი რესურსით მიდიოდა, მაგრამ წინ ვერ ვიწევდით, ნაბიჯს ვერ ვდგამდით“, – ამბობს ის.

მართლაც, უცნაური იყო გამტაცებლების ქმედება. ისინი არ ითხოვდნენ გამოსასყიდს, არ ტოვებდნენ სისხლის კვალს (ანუ გოგონები ცოცხლად მიჰყავდათ) და მერე ქრებოდნენ. გოგონებს ერთადერთი რამ აერთიანებდათ – ისინი 20 წელზე ნაკლების არ იყვნენ და არცერთი არ იყო 25 წელზე მეტის. ორსულებიც კი, რომლებიც მოიტაცეს, ამ ასაკში მერყეობდნენ. როცა ქართველი გამომძიებელი ჩავიდა მოსკოვში, პირველი შემთხვევიდან უკვე რვა თვე იყო გასული და ამ ხნის განმავლობაში, უკვალოდ კიდევ 30-მდე გოგო გაქრა. ამ 30-დან, სამი გარდაცვლილი ნახეს. უფრო ზუსტად, მოკლული. ისინი გაგუდულები იყვნენ და ტყის პირზე ეყარნენ. თითქმის ერთსა და იმავე ადგილას, ოღონდ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ექსპერტიზის დასკვნით, სამივე გაუპატიურებული იყო და რაც მთავარია, ასევე, ექსპერტიზის დასკვნით, მათ უშვილობის პრობლემა ჰქონდათ, თუმცა სავარაუდოდ, ეს არ იცოდნენ, რადგან სამივე გასათხოვარი იყო. იმის მიუხედავად, რომ გვამები დეტალურად იყო შესწავლილ-გამოკვლეული, რამე ახალი მინიშნება, ვინ შეიძლებოდა მდგარიყო ამ ყველაფრის უკან და რისთვის სჭირდებოდათ გოგონები, არავინ იცოდა.

დაძაბულობა პიკს აღწევდა. მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვდა დაკარგული გოგონების მოძიებას, მშობლები გაერთიანდნენ კიდეც, მაგრამ ახალი ვერაფერი გაიგეს. მეტიც, ერთ-ერთი დაკარგული გოგონას მამა საკმაოდ შეძლებული იყო და მზად გახლდათ, მოსკოვის ცენტრში, სამოთახიანი ბინა ეჩუქებინა იმისთვის, ვინც მის გოგონას მოიყვანდა და ამ მოწოდებამ ბევრი რიგითი მოქალაქეც გააქტიურა, თუმცა შედეგი კვლავ ნული იყო. ერთ-ერთი გატაცებული გათხოვილი გახლდათ, ორსულობის მერვე თვეში იმყოფებოდა და მისი ქმარი, პრაქტიკულად, ყოველდღე სამმართველოს წინ იყო ატუზული, მიშველეთ, ცოლი და შვილი დავკარგე, ერთ თვეში ბავშვი უნდა მენახა და ახლა ბავშვი კი არა, ცოლიც დავკარგეო. ძალოვნებს მისი კარგად ესმოდათ, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ, საერთოდ არაფერი. უმკაცრესად კონტროლდებოდა ყველა სამშობიარო სახლი, გამომძიებლები ითხოვდნენ მშობიარეების სურათებს, ხომ შეიძლებოდა, იქ ქალი სხვა სახელითა და გვარით შეეყვანათ, მაგრამ არა – სხვა გოგონების დარად, ეს ქალიც თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ვერც აგენტურული ქსელი ამბობდა რამეს, გატაცებული გოგონების შესახებ არავინ არაფერი იცოდა და რაც მთავარია, ერთადერთ ვერსიად რჩებოდა გოგონების სექსმუშაკებად არაოფიციალური, მონური დასაქმება, მაგრამ მაშინ, რისთვის გახლდათ საჭირო ორსული ქალი?

„ცოლი ვიპოვე, სახლში ვართ და გვეშინია“, – მამაკაცი, რომელმაც რვა თვის ფეხმძიმე ცოლი დაკარგა, არეულად ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ერთი წინადადება საკმარისი იყო იმისთვის, რომ მამაკაცის ბინისკენ სპეცდანიშნულების რაზმი, სამძებრო სამმართველოს ყველა თავისუფალი ოპერმუშაკი და უშიშროება ერთად წასულიყო. ქალი მართლაც სახლში იყო და მისი მუცელი გამოძიებას არ გაჰკვირვებია – რვა თვის ორსული სამი თვის წინ გაუჩინარდა და რა თქმა უნდა, ბავშვს გააჩენდა, მაგრამ სად, როგორ, რატომ?! გოგონა ისე იყო შეშინებული, საუბარი უჭირდა და სასწრაფოდ ექიმთა ბრიგადაც გამოიძახეს, ფსიქოლოგიც, ფსიქიატრიც, ყველა, ვისაც დახმარება შეეძლო და რაც მთავარია, ძალოვნები ცდილობდნენ მას ერთი-ორი წინადადებით მაინც ეთქვა რამე, რაც ძიებას კვლაზე დააყენებდა, მიმართულებას მისცემდა. მცდელობა ამაო აღმოჩნდა, ქალი შოკში იყო და ის საავადმყოფოში გადაიყავნეს. მის პალატას უპრეცედენტოდ ბევრი, 12 სპეცრაზმელი დარაჯობდა, გარეთ იდგნენ სხვა სპეცრაზმელებიც, უშუალოდ პალატაში იჯდა ორი ოპერმუშაკი და ექიმებმა იცოდნენ, რომ პაციენტი საუბრის იშტაზე, რაც შეიძლება მალე უნდა მოეყვანათ. ჰო, გამოძიებამ კატეგორიულად აკრძალა იმის გახმაურება, რომ დაკარგული გოგონებიდან ერთ-ერთი იპოვეს, რადგან დანარჩენების ახლობლები საავადმყოფოს შტურმით აიღებდნენ, სიმართლე რომ პირველწყაროსგან გაეგოთ. პაციენტმა მეოთხე დღეს შეძლო საუბარი.

„მე ფერმაში ვიყავი, ქალების ფერმაში. იქ გოგონები მოჰყავთ, აუპატიურებენ, შემდეგ კი, როცა გოგო დაორსულდება, სხვა ოთახში გადაჰყავთ. იმ ოთახში მეც ვიყავი, როცა თავიდან გამიტაცეს, კარგად მექცეოდნენ, მივლიდნენ, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვყავდი. როცა ბავშვი გავაჩინე, ორი კვირა ძუძუ ვაწოვე, მერე თქვეს, საკმარისიაო და ბინძურ ოთახში შემაგდეს, იქ, სადაც ჩემსავით, ძალიან ბევრი გოგო იმყოფებოდა. იქ უკვე საშინლად გვექცეოდნენ, დიდი ქვაბით შემოჰქონდათ სალაფავი, იმით ვიკვებებოდით, სარდაფი იყო, მხოლოდ ერთი ნათურა ენთო, ლეიბები და რაღაც ზეწრები ეყარა, რომ დაგვეძინა. როცა გოგო გასაუპატიურებლად მიჰყავდათ, აშიშვლებდნენ, წყლის ჭავლით ბანდნენ, მერე კი ორი-სამი დღის განმავლობაში, რიგ-რიგობით აუპატიურებდნენ. თუ გოგონა ორსულდებოდა, კარგ ოთახში გადაჰყავდათ, გააჩენდა და ისევ უკან აგდებდნენ. ბავშვები სად მიჰყავთ, არ ვიცი. ერთხელ, როცა საჭმელი შემოიტანეს, კართან ვიყავი და ზეწარი მქონდა გადაფარებული. არჩევდნენ, რომელი გოგო გაეუპატიურებინათ და კარში გავძვერი, კიბეზე ავედი და იქაურობას თავი დავაღწიე. ირგვლივ ტყე იყო, ხეზე ავედი და იქ გავათენე, მერე გზა ვიპოვე და სახლამდე მოვედი. სავარაუდოდ, ჩემი გაპარვა ვერ შეამჩნიეს, რადგან არასდროს გვთვლიდნენ, 25-30 ვიყავით და ის გოგონები, რომლებიც არ ორსულდებოდნენ, ქრებოდნენ, უკან აღარ შემოჰყავდათ“, – განაცხადა მან.

გამომძიებლებმა სხვა დაკარგულების ფოტოები ანახეს და მან რამდენიმე ამოიცნო, ყველა არც მახსოვს სახეზე, ჯოჯოხეთში ვიყავითო. რაც მთავარია, ქალი დაბეჯითებით ამბობდა, ზუსტად ვიცი, სად არის ის სახლი, რომელიც გოგონების ფერმად აქვთ გადაქცეული და განახებთო. სპეცოპერაცია ერთ საათში დაიგეგმა და საქმეში თავდაცვის სამინისტროც ჩაერთო. 1500 ჯარისკაცი, სრული ეკიპირებით, სახლის გარშემო, ტყის შემოგარენში განალაგეს, რათა არავის მოეხერხებინა გაქცევა და შტურმიც დაიწყო. პრინციპში, შტურმი გადაჭარბებული სიტყვაა, რადგან სახლის მეპატრონეებს იარაღი არ ჰქონდათ და შესაბამისად, წინააღმდეგობასაც ვერ გაწევდნენ. სარდაფში ნახეს ყველა გატაცებული, გარდა იმ სამისა, რომლებიც მანამდე მოკლეს. ამ საქმის ორგანიზატორიც სახლში იყო და ყველაზე მეტად, სწორედ მისი დაკითხვა გახლდათ საინტერესო.

„მას შემდეგ, რაც აქ სიტუაცია აირია და ასე თუ ისე, ევროპაში გასვლა შეიძლება, ჩვილებზე ინტერესი გაიზარდა. ჰო, ორი თვის ბავშვებს ევროპაში ყიდულობენ, ზოგს შვილად აყვანა უნდა, ზოგს კი არ ვიცი, მთავარია, იხდიდნენ. ბავშვების მოპარვას, ქალების მოპარვა ვამჯობინე და ასე გავაკეთე მათი ფერმა. ყოველწლიურად, 20-დან 25 ბავშვამდე უნდა გამეყიდა, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ბავშვები ჯერ ბელორუსში ან უკრაინაში გაგვყავდა, იქიდან – პოლონეთში, პოლონეთიდან კი მთელ ევროპაში“, – განაცხადა მან.

ამ ამბავში ყველაზე ცუდი ის არის, რომ მაშინ დამნაშავეთა ჯგუფის აბსოლუტურად ყველა წევრი დახვრეტას გადაურჩა და მათ 15-წლიანი სასჯელები აკმარეს. მხოლოდ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ გაირკვა, რომ მათ არც ეს სასჯელი მოუხდიათ ბოლომდე, რადგან იგივე ჯგუფის წევრები უკვე ბულგარეთსა და მაშინდელ იუგოსლავიაში დააკავეს იგივე ბრალდებით – გოგონების ფერმა მათ ამ ორ ქვეყანაში ჰქონდათ მოწყობილი.

თაფლში დამალული ბრილიანტების საიდუმლო

როგორ მოკლა ახალგაზრდა ქალმა კომპანიის მძღოლი

ბათო ჯაფარიძე

იცით, რომ ფუტკრის მიერ ნაწარმოებ პროდუქტებში ყველაზე იაფი თაფლია? დიახ, თაფლზე ძვირი ღირს სანთელიც, ყვავილის მტვერიც, დინდგელიც, ფუტკრის რძეც, ფუტკრის შხამი კი საერთოდ, ასტრონომიულ თანხაზე ადის. ფუტკრების ცხოვრება ბოლომდე შესწავლილი დღემდე არ არის. პროფესიონალი მეფუტკრეები ამბობენ, რომ ფუტკრის ცხოვრებისა და ქცევების მხოლოდ 20% იციან, დანარჩენი კი ამოუცნობია. ამოუცნობია თუნდაც ის, როგორ ხვდებიან ფუტკრები, რომელ სკაში უნდა შეფრინდნენ, რატომ არ ერევათ საკუთარი სკა და თუ შეეშალათ, როგორ სცნობენ სხვა ფუტკრები უცხოს? ვარაუდობენ, რომ ყველა სკას თავისი სუნი აქვს, სუნით სცნობენ, ან კიდევ ბზუილი აქვთ განსხვავებული...

თბილისიდან ქუთაისში მიმავალი სატვირთო ჯერ გზიდან გადავიდა, შემდეგ ხეს შეასკდა და გაჩერდა. შემთხვევის ადგილზე პირველად სატვირთოს უკან მიმავალი მსუბუქი ავტომობილის მგზავრები მივიდნენ - ცოლ-ქმარი, რომლებმაც მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს, მაგრამ იგი უკვე გარდაცვლილი იყო. მძღოლი ახალგაზრდა გახლდათ, მაგრამ სავარაუდოდ, საქარე მინას მიარტყა სახე, ცხვირი გატეხილი ჰქონდა... ავარიის ადგილზე სხვა მანქანებიც გაჩერდნენ, თუმცა ცოტა მოგვიანებით - სისხამ დილა იყო და მაშინ მოძრაობა ისე ინტენსიური არ გახლდათ. მერე მოვიდა „გაი“, სასწრაფო დახმარების მანქანა... სატვირთოში თაფლით სავსე ქილები ელაგა, ზოგი გატეხილი, ზოგიც მთელი. სავარაუდოდ, მანქანას სწორედ თაფლი გადაჰქონდა და ერთი შეხედვით, ყველაფერი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ავარიას ჰგავდა. „გაიშნიკებმა“ ივარაუდეს, ალბათ, მძღოლს ჩაეძინა და გზიდან იმიტომ გადავიდაო, მაგრამ ის კი უკვირდათ, არცთუ ძლიერი შეჯახების შედეგად, რატომ გარდაიცვალა ახალგაზრდა მამაკაცი. საქმეში სამართალდამცავები მას შემდეგ ჩაერთვნენ, რაც ექსპერტიზის დასკვნა გახდა ცნობილი.

„მამაკაცს ბარძაყთან ნანემსარი აღენიშნება. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მის ორგანიზმში მომწამვლელი ნივთერება შეიყვანეს, რომელმაც გაკეთებიდან რამდენიმე საათში, შესაძლოა, ერთ დღეში იმოქმედა და მძღოლს გული ამის გამო გაუჩერდა. ავარიის დროს მიღებული დაზიანებებით არ გარდაცვლილა“, - ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

ვისთვის უნდა შეეშალა ხელი სატვირთოს მძღოლს? ამ კითხვაზე პასუხი გამოძიებას უნდა გაეცა. მისი ცოლის ნახვის შემდეგ, სამართალდამცავები უფრო დანაღვლიანდნენ - ქალი ამბობდა, ოთხი თვეა, რაც ოჯახი შევქმენით, როცა რეისში მიდიდა, სწორედ მაშინ გაიგო, რომ ორსულად ვიყავი და უბედნიერესი იყო, ახლა კი, ბავშვის გაზრდა მარტოს მომიწევს, შვილს მამა არ ემახსოვრებაო. გამომძიებლების კითხვაზე, ჰყავდა თუ არა მის ქმარს მტერი, ქალმა მხრები აიჩეჩა, შეყვარებულობის პერიოდი დაახლოებით ორ წელს გაგრძელდა, არც მაშინ და არც მას შემდეგ, არ გამიგია, რომ ჩემს ქმარს ვინმე ემტერებოდა, ან რა ჰქონდა სამტრო, მაშინაც მძღოლი იყო, ახლაც მძღოლია და სამეგობროც ნორმალური ჰყავს. კრიმინალებთან არასდროს მინახავს და არც საეჭვო წრეში შემიმჩნევიაო.

მეუღლის სიტყვები სხვებმაც დაადასტურეს, მეგობრებმა, ნათესავებმა, მეზობლებმა, თანამშრომლებმა... მაგრამ, ხომ ცხადი იყო, რომ მან ვიღაცას ხელი შეუშალა, ან ცუდ დროს, ცუდ ადგილზე აღმოჩნდა, ან ისეთი რამ გაიგონა, რაც არ უნდა გაეგონა... გამოძიება იმ ქარხანაში შევიდა, სადაც თაფლი იწარმოებოდა.

„მერწმუნეთ, იმ ადგილას არ ეძებთ, სადაც უნდა ეძებდეთ. აქ ყველაფერი რიგზე გვაქვს, თაფლი შემოდის, ვაფასოებთ და სხვადასხვა ადგილზე ვაგზავნით. ის მანქანა ქუთაისამდე, ხაშურში უნდა გაჩერებულიყო, მერე - ზესტაფონში, მერე - ქუთაისში, მაგრამ ადგილამდე ვერ ჩავიდა. გადაამოწმეთ, იყო თუ არა ხაშურში, რამე ხომ არ სჭირდა, ან ზესტაფონში როგორ ჩავიდა. აუღეთ სინჯი სატვირთოში ნანახ თაფლს, ნახავთ, რომ მაქინაციებს ადგილი არ აქვს“, - იძახდა საამქროს ხელმძღვანელი და მისი სიტყვები მალე ექსპერტიზამაც დაადასტურა. თაფლი უმალესი ხარისხის იყო არა მარტო სატვირთოში, არამედ, საამქროში აღებული სინჯებიდანაც.

რაც შეეხება ხაშურს, თაფლი იქაც მიიღეს და მტვირთავებმა თქვეს, მძღოლი გადასარევ ხასიათზე იყო, ასე ამბობდა, ცოლი ორსულად არის, მალე ბიჭის მამა გავხდებიო, თუმცა მერე იცინოდა, ჯერ არ ვიცი, ბიჭი იქნება თუ გოგო, მაგრამ გოგოც რომ იყოს, ბიჭად გავზრდიო. მტვირთავებმა ღვინო ჩამოასხეს, მაგრამ მძღოლმა წვეთი არ ჩაიკარა, თავს უნდა გავუფრთხილდე, ბავშვი მყავს გასაზრდელიო. აი, ზესტაფონელებმა თქვეს, მანქანიდან არც ჩამოსულა, ასე თქვა, გუშინ სამსახურში ჩამეძინა, მგონი, რომ მეძინა, ნემსი გამიკეთა იმ კახპამ და ახლა ცუდად ვარო. ეს სერიოზული სამხილი იყო - მძღოლი სწორედ ნემსის ჩხვლეტით იყო გარდაცვლილი და ახლა ისღა იყო გასარკვევი, ვის გულისხმობდა კახპაში. საამქროში, სადაც თაფლს აფასოებდნენ, ათამდე ქალი მუშაობდა და სამართალდამცავებმა ჯერ მამაკაცები დაჰკითხეს იმის გასარკვევად, იყო თუ არა რომელიმე მათგანი მძღოლის საყვარელი, მაგრამ ყველამ ხელი გაიქნია - გამორიცხულია, საყვარელი ჰყოლოდა, ცოლს აღმერთებდა და ქალებთან შეხებაც, პრაქტიკულად, არ ჰქონდა, მოვიდოდა, მაკაცები ტვირთავდნენ თაფლს და მიდიოდა, ყველას შეიძლება სახეზეც კი არ იცნობდაო. გამომძიებლებმა იქ მომუშავე ქალების პირადი საქმეები გამოითხოვეს და ისევ დირექტორს მიადგნენ - ერთ-ერთი თანამშრომელი ადრე ქურდობისთვის იყო ნასამართლევი.

„ვიცი, რომ ნასამართლევია, მაგრამ ახალგაზრდა გოგოა და მივიღე, მეორე შანსი მივეცი, ან აქ, რა უნდა მომპაროს? თაფლს ჯიბით ხომ ვერ წაიღებს, ქილებით რომ გაიტანოს, დავინახავთ და ადგილზე კიდევ რამდენი უნდა ჭამოს? ვთვლი, რომ მეორე შანსს ყველა იმსახურებს და თანაც, ძალიან ბეჯითი თანამშრომელია, ყველაზე გვიან მიდის, ბოლო ყუთის შეფუთვამდე აქ არის. მეტიც, ბეჭდებსაც თავად ურტყამს და ეს მაშინ, როცა ბეჭდის დარტყმა მისი მოვალეობა არ არის. მგონია, რომ ცდილობს, ჩემი ნდობა გაამართლოს“, - განაცხადა საამქროს ხელმძღვანელმა.

ის, რომ ყოფილი კრიმინალი ცდილობდა ზედმეტი ეშრომა, რომ სხვისი სამუშაო შეესრულებინა, რა თქმა უნდა, სამართალდამცავებისთვის უცნაური იყო. ასე არ ხდებოდა ხოლმე და ამიტომ, სწორედ მისი დაკითხვა გადაწყვიტეს, მანამდე კი, საამქროში ყველაფერი ახლიდან შეამოწმეს, აბსოლუტურად ყველაფერი და უცნაური ვერაფერი ნახეს, გარდა ერთისა - ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა, ყოველი შემთხვევისთვის, ოქმში ჩაწერა, რომ ერთ-ერთ ყუთს ბეჭედი ორ ადგილზე ჰქონდა დარტყმული და ეს მაშინ, როცა დანარჩენ ყუთებს მხოლოდ ერთი ბეჭედი ჰქონდა. ამაში უცნაური ვერავინ ვერაფერი დაინახა, გოგოს დაკითხვამ გამოძიებას არაფერი მისცა, მაგრამ ძალოვნები მიხვდნენ, რომ მათ წინ გამოსწორების გზაზე მდგარი მოქალაქე კი არა, ძალიან გამოცდილი კრიმინალი იჯდა, რომელიც კითხვებს ოსტატურად უსხლტებოდა და სამართალდამცავების მიმართ, ზიზღის დამალვასაც არ ცდილობდა. დაკითხვის შემდეგ გოგო გაუშვეს, რადგან საეჭვო ვერაფერი ნახეს, ვერც მისი ბინის ჩხრეკამ მოიტანა რამე, მაგრამ... საღამოს ქარხნის საწყობი გატეხეს და საწყობის გამგე ირწმუნებოდა, ერთი ყუთი თაფლის მეტი, არაფერი წაუღიათო. ვის რად უნდოდა ამხელა რისკი ერთი ყუთი თაფლისთვის, ვერავინ მიხვდა, მაგრამ დირექტორმა თავისთვის ჩაილაპარაკა, ის ყუთი წაიღეს, რომელსაც ორი ბეჭედი ერტყაო. ახლა კი მიხვდნენ ძალოვნები, რომ ყუთი დანიშნული იყო და შიგნით რაღაც იდო, მაგრამ რა? პასუხი, სავარაუდოდ, გოგომ იცოდა, მაგრამ პირველი დაკითხვიდან გამომდინარე, არაფერს იტყოდა. ამიტომ, აგენტურული ქსელი აამუშავეს და ცნობა ქუთაისიდან მოვიდა. იქაური კრიმინალები ამბობდნენ, რომ თბილისში, ბინებიდან მოპარული ბრილიანტები ქუთაისში, თაფლის ქილებით გადაჰქონდათ და ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ სამართალდამცავები ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, მათ მიმართ არასანქცირებული და პერიოდული თვალთვალი მიმდინარეობდა, ისინი დედაქალაქს არ ტოვებდნენ, ქუთაისიდან ტვირთი აფხაზეთში მიდიოდა, იქიდან კი გემით რუსეთში გადიოდა. ერთი ქილა თაფლის წაღება დანაშაული არ იყო და მეზღვაურებს ამის შესაძლებლობას აძლევდნენ.

სწორედ აგენტურული ქსელის მუშაობის შედეგად, სამართალდამცავებმა მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარეს და რამდენიმე ადამიანი ერთდროულად დააკვეს. ამოიღეს თაფლის ორი ქილაც, რომლებშიც ბრილაინტის თვლები იყო მოთავსებული. ამ ყველაფერს, სწორედ ყოფილი პატიმარი აკეთებდა და ქარხანაში მისი მოწყობაც კრიმინალების გეგმის შედეგი იყო.

„იმ იდიოტმა მძღოლმა შემთხვევით დაინახა, თაფლის ქილაში ბრილიანტი რომ ჩავდე. კარგად ვერ დაინახა, რა ჩავდე, ეგონა, ნარკოტიკი იყო და ნარკოტიკებს ვყიდდი. დამიბარა, ერთ კვირას გაძლევ, ან სამსახური დატოვე, ან ყველაფერს სამართალდამცავებს შევატყობინებო. რა თქმა უნდა, ეს ჩემებს ვუთხარი, მათ კი შპრიცი მომცეს, გაუკეთეო. წამალს ორ საათში უნდა ემოქმედა, მაგრამ მძღოლი ძალიან ჯანმრთელი აღმოჩნდა და 24 საათის მერე იმოქმედა“, - როგორც იქნა, „პადელნიკების“ დაკავების შემდეგ, გოგონაც ალაპარაკდა. ყველაზე მეტი, მკვლელობისთვის სწორედ მას ერგო, დანარჩენებს კი სულ რაღაც 7-8 წელი ჩამოურიგეს.

ბათო ჯაფარიძე

ზოგადად, უბანში ავტორიტეტების ყოფნა ცუდი არ არის. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ კრიმინალურ ავტორიტეტებს, ისეთ ადამიანებზე ვამბობთ, რომლებიც თავისი წესიერი ცხოვრებით სხვებისთვის მისაბაძნი არიან და მათ სიტყვას არა მარტო პატარები, არამედ, დიდებიც ისმენენ. სწორედ ასეთი ადამიანების მეშვეობით, არაერთი პრობლემა მოგვარებულა და გადაჭრილა. მათი რიდი აქვთ, პატივს სცემენ და ცდილობენ, დაუახლოვდნენ... არცთუ იშვიათად (და ეს დამოუკიდებლობის შემდეგ უფრო თვალშისაცემი გახდა), ასეთი ადამიანების გამოყენებას პარტიის ლიდერები არჩევნებისთვის ცდილობენ, რაღაცებს ჰპირდებიან და ძალიან ცოტა ახერხებს, რომ პოლიტიკაში არ ჩაერიოს, კაცურად ნათრევი სიცოცხლე ბოლომდე კაცურად გაათრიოს და „იმისტი“ და „ამისტი“ არ დაირქვას...

ვინ არიან ნიღბიანი და სამხედრო ფორმიანი ახალგაზრდები, რომლებიც რუსთავში ხალხს ესხმიან და უმოწყალოდ სცემენ

ვის კვალზე გავიდა გამოძიება

რუსთავის ერთ-ერთ უბანში, მოქალაქეებზე თავდასხმები გახშირდა. რიგით ადამიანებს ორი ნიღბიანი ხვდებოდა და სასტიკად უსწორდებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქალი იყო, კაცი, დიდი თუ პატარა, ყველას ერთნაირად სცემდნენ და რაც მთავარია, არაფერს არ-თმევდნენ. ქვეყანა 9 აპრილის ჭრილობებს იშუშებდა, ერი რეალურად ერთიანი იყო, კრიმინალებიც კი ერიდებოდნენ მძიმე საქმეებს, ცდილობდნენ, დამოუკიდებლობის აგორებულ ტალღას შეშველებოდნენ და ამ დროს ასეთი ამბები ხდებოდა, თანაც რუსთავი დედაქალაქში მიმდინარე აქციებზე მცირე დიასპორით ნამდვილად არ იყო წარმოდგენილი, მეტალურგთა ქალაქიც დუღდა თბილისის მსგავსად და მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმები არა მარტო უცნაური, ამაზრზენიც კი იყო. დაზარალებული ანუ ნაცემი მოსახლეობა განცხადებას განცხადებაზე წერდა, მაგრამ მილიცია უძლური იყო. ჯერ ერთი, ლამის მთელი შემადგენლობა თბილისში იყო გადასროლილი, აქციები ასე თუ ისე რომ შეეკავებინათ და მეორეც, მათ არ ჰქონდათ თავდამსხმელების ზუსტი აღწერილობა. ყველა იმას ამბობდა, რომ ეცვათ სამხედრო ფორმა და ეკეთათ ნიღბები. იყო ვარაუდი, რომ თავდამსხმელები, შესაძლოა, რუსები ყოფილიყვნენ, რუსი ჯარისკაცები, რათა პროვოკაცია მოეხდინათ, მაგრამ რა პროვოკაციაზე იყო საუბარი, როცა ისინი არაფერს იპარავდნენ, არაფერს ართმევდნენ და როგორც გამოჩნდებოდნენ, ისე უჩინარდებოდნენ. თითო თავდახმას, ყველაზე დიდი, 30 წამს ანდომებდნენ, მაგრამ ისე ოსტატურად უსწორდებოდნენ, აშკარა იყო, ნავარჯიშები იყვნენ.

„მე ვიცი, ვინ დგას ამ თავდასხმების უკან. ჩვენს კორპუსში ადრე კანალიზაცია გასკდა და სანამ გააკეთებდნენ, იქაურობა ფეკალიებით გაივსო. მერე კი გაწმინდეს, მაგრამ კედლები გაიჟღინთა და „პადვალში“ ჩასვლას კი არა, სადარბაზოებში შესვლასაც კი დიდი გმირობა უნდოდა. მერე, როცა ყველაფერი მიწყნარდა, ვიღაც რუსი გამოჩნდა, ყოფილი სამხედროაო, ამბობენ და იმ აყროლებულ სარდაფში დაიწყო ცხოვრება, თან ნელ-ნელა ალაგებდა, არავინ ეხმარებოდა, „ვედროებით“ გამოჰქონდა ფეკალიები და დაახლოებით, ექვს თვეში სარდაფი გაასუფთავა, მერე რემონტი დაიწყო და ბოლოს, იქაურობა ერთ დიდ სპორტულ დარბაზად აქცია, თავისთვის ოთახიც მოიწყო და გადასარევად ცხოვრობდა. მერე, უბნის ბიჭები შეაგროვა, სარდაფში ჩაჰყავდა და ავარჯიშებდა. სპორტული ინვენტარიც, ზოგი შეიძინა, ზოგი ააწყო და საბოლოოდ, ასზე მეტი ახალგაზრდა შემოიკრიბა. ერთხელ ვკითხე, ამ ბიჭებს რას ასწავლი-მეთქი და ასე მიპასუხა, საბრძოლო ხელოვნებას, ომი ახლოვდება და როგორც საკუთარი თავის, ისე ქვეყნის დაცვა უნდა იცოდნენო. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს კაცი ავარჯიშებს თავის მხეცებს მოსახლეობაზე. თანაც, ისინიც ზუსტად ისე იცვამენ სამხედრო ფორმებს და იმ სარდაფში ნიღბებიც ნანახი მაქვს“, – განაცხადა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

სამართალდამცავებმა იმ დარბაზის არსებობის შესახებ კი იცოდნენ, მაგრამ უბნის რწმუნებული ამბობდა, ვიღაც ლოთია, ბიჭები მასთან სალოთაოდ დადიან, რა ვარჯიში და წვრთნებიო, თუმცა ამჯერად კარგად მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ ეს მართლაც სავარჯიშო დაწესებულება იყო და იქ ძალიან, ძალიან ბევრი ახალგაზრდა დადიოდა. სარდაფში ჩასასვლელად, მილიციის გაძლიერებული შემადგენლობა წავიდა. ყოფილმა სამხედრომ აყვანის დროს წინააღმდეგობა სცადა, მაგრამ მაინც დააკავეს. სარდაფში მართლაც იპოვეს ნიღბები და სამხედრო ფორმა. ძალოვნები საქმის გახსნას ზეიმობდნენ.

„მე ბიჭებს ძალადობას არ ვასწავლი. პირიქით, რაინდებად, ნამდვილ პატრიოტებად ვზრდი. დედა ქართველი მყავს, მისი გაზრდილი ვარ, მამა ადრე გარდამეცვალა და ამიტომ, მთლიანად ქართულ ტრადიციებზე და აქაური სულისკვეთებით ვიზრდებოდი. მერე ჯარში წავედი, ავღანეთშიც ვმსახურობდი, სადესანტო ნაწილშიც და ბრძოლა იქ ვისწავლე. ყველაფერ ამას ვასწავლი ბიჭებს და ჰკითხეთ, ვისაც გინდათ, ჩემთან მოსულები აღარ ეწევიან, ნარკოტიკებზე საუბარიც კი ზედმეტია, მეტიც, მუშაობის დაწყებაში ვეხმარები, რამდენიმე მეტალურგიულ ქარხანაში მოვაწყვე, რამდენიმე – აზოტში. აქვე, ახლოს, მეფრინველეობის ფერმებია, ათამდე ბიჭი იქ მუშაობს, ოჯახებს ეხმარებიან“, – განაცხადა დაკავებულმა და მართლაც, იმ ბავშვების მშობლებმა, რომლებიც მასთან დადიოდნენ, პირდაპირ თქვეს, გზას აცდენილ ბიჭებს ცხოვრებას ასწავლის, როგორც ფიზიკურად, ისე ცხოვრებისეულად წვრთნის და ძალიან კმაყოფილები ვართო. გადაამოწმეს პრაქტიკულად ყველა ის ბიჭი, რომლებიც სარდაფის მუდმივი სტუმრები იყვნენ და მათზე ცუდი არავის დასცდენია არც – სამსახურში, არც – სასწავლებელში, არც – სამეზობლოში. რაც შეეხება აღმოჩენილ ნიღბებს...

„ბიჭების ამბავი ხომ იცით – მათი უმრავლესობა ოცნებობს, სპეცრაზმელი გახდეს და ვარჯიშები რეალობასთან ახლოს რომ იყოს, ნიღბები ამიტომ მოვიფიქრეთ. მგონია, რომ ვიღაცას ჩვენი სახელის გატეხვა უნდა, იმიტომ ჩააცვეს იმ თავდამსხმელებს ფორმა, რომელიც ჩვენ გვაქვს. ბიჭებთან ერთად, რამდენჯერმე გავედი პატრულირებაზე, ეგებ, ჩვენც დაგვესხნენ თავს-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გეტყვით, ეჭვი ვისზე მაქვს – როცა სარდაფი დავასუფთავე, ერთი კაცი მოვიდა, მითხრა, ფულს გადაგიხდი და დამითმე, აქ ბევრი კომერციული ობიექტის გაკეთება შეიძლებაო, მაგრამ უარი ვუთხარი. მერე დამემუქრა და სავარაუდოდ, მუქარას ასე ასრულებს“, – განაცხადა სარდაფის მფლობელმა და გამომძიებლებს იმ პიროვნების სახელიც უთხრა.

სამართალდამცავები მაშინვე ბიზნესმენის სანახავად წავიდნენ და როცა მან გაიგო, რისთვის იყვნენ მისულები, ღიმილით თქვა, ჩემს სიმართლეს მარტივად დავამტკიცებო და გამომძიებლებს ის ადგილი უჩვენა, რომელიც იყიდა, გაარემონტა და ობიექტები გახსნა. გამოდიოდა, რომ მას სარდაფი და შესაბამისად, მთელი ამ სპექტაკლის დადგმა არაფერში სჭირდებოდა, თუმცა ვერსია, რომ ვიღაცას სწორედ სარდაფის ხელში ჩაგდება სურდა, მაინც არსებობდა. მიაკითხეს ახლომდებარე ობიექტებს, დაიწყეს იმის გამოკითხვა, იყო თუ არა ვინმე ისეთი, ვინც კონკრეტულად ამ სარდაფით გახლდათ დაინტერესებული და საინტერესო რამეც გაიგეს.

„ჩვენთან რატომ მოდიხართ? ვითომ არ იცით, რომ მიტოვებულ შენობებს უბნის რწმუნებული იკავებს, მერე ვიღაცებს უფულოდ არემონტებინებს და მერე აქირავებს. ოცამდე ობიექტი ექნება ასე დათრეული და გაქირავებული“, – უთხრა გამომძიებლებს ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

სარდაფის მფლობელ რუსს გამომძიებლებმა კთხვა უბნის რწმუნებულზეც დაუსვეს და მან დაადასტურა, რომ რწმუნებულმა რამდენჯერმე უთხრა, სარდაფის გაქირავებას თუ დააპირებ, პირველად მე მითხარიო. გამოძიებამ უბნის რწმუნებულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაიწყო და დაადგინა, რომ მას მართლაც ჰქონდა მითვისებული არაერთი ობიექტი, იმ პირებს კი, რომლებიც კრიმინალსა და ნარკომანიაში იყვნენ შემჩნეულნი, აიძულებდა, ეს ობიექტები გაერემონტებინათ, შემდეგ კი აქირავებდა. მასზე თვალთვალი დააწესეს და ისიც დაადგინეს, რომ უბნის რწმუნებული არა მარტო ობიექტებს აქირავებდა, არამედ, სხვა ობიექტების მფლობელებისგან ყოველთვიურ გასამრჯელოსაც კრეფდა.

ყველაზე მეტად სამართალდამცავები იმ ორმა ახალგაზრდამ დაინტერესა, რომლებსაც უბნის რწმუნებული ხშირად სტუმრობდა. გაირკვა, რომ ისინი ყოფილი კარატისტები იყვნენ, შემდეგ ნარკოტიკების მოხმარება დაიწყეს და ამის მიუხედავად, რწმუნებული მათ არ იჭერდა. თვალთვალი ძმებზეც დაწესდა და როცა ერთ დღეს, ისინი სახლიდან სპორტული ჩანთებით გავიდნენ, ოპერები უკან გაჰყვნენ. ბიჭებმა ერთ-ერთ სადარბაზოში შეუხვიეს, იქიდან მალე გამოვიდნენ, სამხედრო ფორმა ეცვათ, ნიღბები კი ხელში ეკავათ. მალე დაესხნენ თავს გზაზე მიმავალ მამა-შვილს და სწორედ ამ დროს დააკავეს. პრინციპში, დაკავებაც არის და დაკავებაც – ოპერებს ბიჭებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ისინი იძულებულნი გახდნენ, ცეცხლსასროლი იარაღი გამოეყენებინათ და ერთ-ერთი დაჭრეს.

„ყველაფერი ეს, უბნის რწმუნებულმა გვაიძულა. ის გვემუქრებოდა, წამალს ჩაგიდებთ და დაგიჭერთო. როგორც ვიცი, იმ სარდაფის დათრევა უნდა, რუსმა ჯარისკაცმა რომ გააკეთა და ამიტომ, მოსახლეობა რომ აჯანყებულიყო, ეგ მოიგონა. რა უნდა გვექნა? დაჭერის შიშით ვაკეთებდით. ის უბნის რწმუნებული კი არა, უბანში ქურდია, არავის და არაფერს ითვალისწინებს“, – თქვა დაჭრილმა.

რა თქმა უნდა, უბნის რწმუნებული დააკავეს. რაც შეეხება რუს ჯარისკაცს... მისი ბიჭებიდან რამდენიმე სპეცდანიშნულების რაზმში მართლა წავიდა, მერე და მერე, სარდაფი დიდ სპორტულ დარბაზად იქცა, თავად მისი სულისჩამდგმელი კი, 2014 წელს, გულის შეტევით, იმავე სარდაფში გარდაიცვალა.

ვახტანგ გომელაურმა სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან თათბირი გამართა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილე გიორგი ბუთხუზთან ერთად, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და ლოგისტიკის დეპარტამენტების დირექტორები, ასევე, დაცვის პოლიციის თავმჯდომარე და სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის“, მომსახურების სააგენტოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსები.

ვახტანგ გომელაურსა და გიორგი ბუთხუზს დანაყოფების ხელმძღვანელებმა კვარტალური ანგარიში წარუდგინეს.

სამუშაო თათბირზე განიხილეს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის საკითხი. ასევე, აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სამუშაო პირობების უფრო მეტად გაუმჯობესების მიზნით, თბილისსა და რეგიონებში, აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციას, ასევე, ტექნიკის, აღჭურვილობისა და ავტოპარკის განახლებას.

საუბარი შეეხო სამინისტროსთვის ბიუჯეტის ზრდის ტენდენციას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთი შეხვედრა მოადგილესთან, იოსებ ჭელიძესთან ერთად გამართა. შეხვედრას დაესწრნენ განსაკუთრებულ დავალებათა, ობიექტების დაცვის და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტების დირექტორები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი.

მიმდინარე თათბირზე საუბარი შეეხო დეპარტამენტებში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში ახალი ბაზების მშენებლობას და თანამშრომელთა გადაიარაღების პროცესს, საგანგებო და სამაშველო ძალების გაძლიერების მიმართულებას.

შეხვედრის დასასრულს შინაგან საქმეთა მინისტრმა დამსწრე პირებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და შესაბამისი დავალებები მისცა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სხვადასხვა დეპარტამენტის დირექტორებთან თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრას სასაზღვრო პოლიციის უფროსი, საპატრულო პოლიციის, ადმინისტრაციის, გენერალური ინსპექციის, სტრატეგიული კომუნიკაციების, ადამიანური რესურსების მართვის, შიდა აუდიტის, ოპერატიული უზრუნველყოფის და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტების დირექტორები დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა დანაყოფების ხელმძღვანელი პირებისგან კვარტალური ანგარიშები მოისმინა, გაეცნო მათ მიმდინარე და სამომავლო გეგმებს.

თათბირზე განიხილეს საზღვრის ეფექტური მართვის მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯები, ასევე, სასაზღვრო სექტორებზე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესი და განხორციელებული და მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმები.

შეხვედრაზე ისაუბრეს სხვადასხვა დეპარტამენტში განხორციელებულ სიახლეებსა და პროექტებს, მათ შორის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ავტოპარკის განახლებას, პატრულ-ინსპექტორების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ახალი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობების გადაცემას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, მოადგილე ალექსანდრე დარახველიძესთან ერთად, შეხვედრა გამართა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის, იურიდიული, საერთაშორისო ურთიერთობების, მიგრაციის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტების დირექტორებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორთან.

სამუშაო თათბირზე განიხილეს ბოლო დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული და ინიცირებული კანონპროექტები.

სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრს დანაყოფების საქმიანობის, ასევე, განხორციელებული რეფორმებისა და პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა შეხვედრაში მონაწილე პირებს კონკრეტული დავალებები მისცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ლიეტუვას რესპუბლიკას ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ლიეტუვას რესპუბლიკაში იმყოფებოდა. დელეგაციას ადგილზე ლიეტუვას რესპუბლიკის პოლიციის გენერალურმა კომისარმა, რენატას პოჟელამ უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები ლიეტუვას რესპუბლიკის პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ. ასევე, გაიმართა ორმხრივი შეხვედრა ლიეტუვას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიტალი დმიტრიევთან.

ორმხრივი შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივებზე ისაუბრეს. მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ ხაზი გაუსვა ლიეტუვას რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

დელეგაცია ეწვია ლიეტუვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფს, სადაც მათ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ ნერინგის მუნიციპალიტეტის მერს, დარიუს ჯასაიტისს.

ვიზიტის დასასრულს მხარეთა მიერ ხაზი გაესვა, რომ ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შსს-ს აკადემიაში მიმდინარე სწავლების პროცესს დაესწრო და განახლებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის მიმდინარეობასა და მიმდინარე სწავლების პროცესს დაესწრო. მინისტრის მოადგილეს აკადემიის რექტორმა, ზურაბ ზუბადალაშვილმა მოადგილეებთან ერთად უმასპინძლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დაიწყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელსაც საფუძვლად დაედო, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ექვსთვიანი სამოქმედო გეგმა.

გეგმით გათვალისწინებულია სწავლებები ისეთ პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სექსუალური შევიწროება, ცალკეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების თავისებურებები და სხვა. აღნიშნული სწავლების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფის 480 გამომძიებელი გადამზადდება.

ტრენინგები განგრძობადი ხასიათისაა, რომელსაც ეტაპობრივად ყველა გამომძიებელი გაივლის და ყოველ ექვს თვეში განახლდება. სწავლებებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ინსტრუქტორებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებიც ჩაატარებენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აკადემიის მსმენელებსა და თანამშრომლებს გაესაუბრა და წარმატებები უსურვა. ალექსანდრე დარახველიძემ სასწავლებლის განახლებული ინფრასტრუქტურაც დაათვალიერა.

„ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო მოუგებლად დაასრულეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ჯგუფური ეტაპის მეოთხე მატჩში, „ბორჯღალოსნებმა“ უელსს ვერაფერი მოუხერხეს და 19:43 დამარცხდნენ. მეტოქემ ჩვენი ნაკრები ყველა კომპონენტში დაჩაგრა და სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მსოფლიო თასზე გამოდის, პირველად მოხდა, რომ ტურნირს მოგების გარეშე დავემშვიდობეთ.

მატჩის პერიპეტიებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ქართველი გულშემატკივრების დარად, საერთაშორისო მედია თუ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველომ საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო, ჩვენ კი ჩვენი გუნდისგან ბევრად მეტს ველოდით. დიდი ალბათობით, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაგდებას არ აპატიებენ „ბორჯღალოსნების“ მთავარ მწვრთნელს და ლევან მაისაშვილს მოხსნიან. ასევე, დიდი ალბათობით, ეროვნულ გუნდს ისევ უცხოელ სპეციალისტს ჩააბარებენ, რადგან უცხოელი სპეციალისტის ხელში, თითქოს, ნაკრები უფრო პროგრესირებს, ახლა კი ერთი ადგილის ტკეპნა დავიწყეთ და წინ ვეღარ მივდივართ. ჩვენი გადმოსახედიდან ასე ჩანს და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რაგბის კავშირი.

საქართველო ორი მატჩისთვის დაირაზმა

12 ოქტომბერს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, ამხანაგურ შეხვედრაში ტაილანდს უმასპინძლებს, სამი დღის შემდეგ კი, 15 ოქტომბერს, ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, კვიპროსს დაუხვდება. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდებით, რა უნდა მოგვცეს ტაილანდთან ამხანაგურმა შეხვედრამ, რადგან ტაილანდელები არც დიდი საფეხბურთო ცოდნით გამოირჩევიან, არც ევროპულად აგორებენ ბურთს და ზოგადად, ამ ქვეყანას ნაკრები რომ ჰყავს, ლოგიკას თუ გავყვებოდით და ისე ვიფიქრებდით, თორემ აქამდე, არ გაგვიგია, მათ ციდან ვარსკვლავები მოეწყვიტოთ... რაც შეეხება თემურ ქეცბაიას მიერ გაწვრთნილ კვიპროსს, ამ გუნდს ჯგუფში ყველა შეხვედრა წაგებული აქვს და ისინი აუცილებლად შეეცდებიან, უსიამოვნო ტრადიცია თბილისში დაარღვიონ. ორივე მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და ამ შეხვედრებისთვის, ვილი სანიოლმა ეროვნულ გუნდში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო.

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („დინამო“ თბილისი), ლუკა გუგეშაშვილი („ყარაბახი“, აზერბაიჯანი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), საბა კვირკველია („ალ ახდუდი“, საუდის არაბეთი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), ირაკლი აზაროვი („შახტარი“, უკრაინა), ივა გელაშვილი („სპეცია“, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე („დინამო“ თბილისი);

ნახევარმცველები/თავდამსხმელები: ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გაბრიელ სიგუა („ბაზელი“, შვიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“ ბათუმი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“ თბილისი), სანდრო ალთუნაშვილი („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), ლევან შენგელია („პანეთოლიკოსი“, საბერძნეთი), საბა ლობჟანიძე („ატლანტა იუნაიტედი“, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), გიორგი მიქაუტაძე („აიაქსი“, ნიდერლანდები), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), დავით ვოლკოვი („საბაჰი“, აზერბაიჯანი).

პოგბა დოპინგზე ჩავარდა და კარიერას დაასრულებს



ფრანგი ნახევარმცველი, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, პოლ პოგბა უდიდესი ალბათობით, კარიერას დაასრულებს. საქმე ის გახლავთ, რომ 20 აგვისტოს, „უდინეზესა“ და „იუვენტუსს“ შორის გამართული შეხვედრის შემდეგ, პოგბას დოპინგ-ტესტის ჩაბარება მოსთხოვეს და ეს მაშინ, როცა მას იმ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სამატჩო განაცხადში იყო. ტესტმა სისხლში აკრძალული პრეპარატი – ტესტოსტერონი აღმოჩნდა. ეს პრეპარატი კუნთის მასის გაზრდას უწყობს ხელს.

როგორც კი პასუხი გაიგო, პოგბამ ხმაური ატეხა, ყველაფერი ტყუილია, მე დოპინგი არ მიმიღიაო და განმეორებითი ტესტი მოითხოვა. რა თქმა უნდა, მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კვლავ დადებითი პასუხი მოვიდა. ფრანგმა მესამე მცდელობაც გამოიყენა, კვლავ მოითხოვა ანალიზი (სამი ანალიზი მაქსიმუმია) და პასუხი კვლავ დადებითი იყო. ახლა, სადისციპლინო კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს, რამდენ ხანს აუკრძალავს თამაშს პოგბას და მინიმალური ვადა სამი წელი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 30 წლის ფეხბურთელი, რომელსაც კარიერის განმავლობაში, მხოლოდ „იუვენტუსსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ აქვს ნათამაშები, კარიერას დაასრულებს. თავის მხრივ, ტურინული კლუბი აპირებს, რაც შეიძლება მალე გაწყვიტოს მოქმედი კონტრაქტი ფეხბურთელთან, რადგან პოგბა წლიურად, 10 მილიონს იღებს და თუ დისკვალიფიკაცია ექნება, „იუვე“ ხელფასის გადახდას არ აპირებს.

სტეინი მიქაუტაძეზე: უნდა დაამტკიცოს, რომ თამაშს იმსახურებს

ევროპალიგის მეორე ტურში, „აიაქსი“ საბერძნეთში, „აეკს“ დაუზავდა და გიორგი მიქაუტაძემ შეხვედრას ისევ სათადარიგოთა სკამიდან უყურა. აშკარაა, რომ გუნდის თავკაცი, მორის სტეინი ქართველს არ სწყალობს და იმის მიუხედავად, რომ მისი გუნდი, როგორც შიდა პირველობაზე, ისე ევროთასებზე წარუმატებლად ასპარეზობს, ქართველის გამოყენებას არ აპირებს. ათენში გამართული შეხვედრის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე, სტეინს, სწორედ ქართველზე ჰკითხეს.

„მიქაუტაძემ უნდა დაამტკიცოს, რომ თამაშს იმსახურებს. ის ვარჯიშებზე ინდომებს, სულ უფრო კარგად წარმოაჩენს ხოლმე თავს და მისი დროც მოვა. სიმართლე გითხრათ, „ვალვაიკთან“ შეხვედრაში ვაპირებდი მოედანზე შემეშვა, მაგრამ მოგეხსენებათ, მატჩი მეტოქის მეკარის უმძიმესი ტრავმის გამო შეწყდა და გიორგიც მოედანზე ამიტომ ვერ შევიყვანე“, – განაცხადა სტეინმა და...

სამწუხაროდ, ამსტერდამელთა მწვრთნელს არავინ შეახსენა, რომ „ვალვაიკი“-„აიაქსის“ მატჩი 84-ე წუთზე შეწყდა და რაც მთავარია, იმ დროისთვის, მიქაუტაძე არ ხურდებოდა ანუ მწვრთნელს ნათქვამიც კი არ ჰქონდა, გახურდი, უნდა შეხვიდეო. გახურებას 4-5 წუთი სჭირდება, იქ მსაჯის გაფრთხილებას, მომზადებას კიდევ 1-2 წუთი და საინტერესოა, მატჩის რომელ წუთზე უნდა შეეშვა სტეინს ქართველი ფორვარდი მინდორზე?!

ევროპის 2028 წლის ჩემპიონატს ინგლისი და ირლანდია უმასპინძლებენ

ეევროპის 2024 წლის ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართება. ჰოდა, როგორც წესი, ტურნირამდე ცოტა ხნით ადრე, უეფა მომავალი ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას ავლენს, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, სათანადოდ მოემზადონ. 2028 წლის ევროპირველობის მასპინძლობისთვის, თურქეთი და ინგლისი-ირლანდია (ერთობილივი განაცხადი) იბრძოდნენ და იმის მიუხედავად, რომ უეფა-ს გამარჯვებული ჯერ არ გამოუცხადებია, თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ 2028 წლის კონტინენტის პირველობას, სწორედ ინგლისი და ირლანდია უმასპინძლებენ.

საქმე ის გახლავთ, რომ თურქეთმა 2032 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე გამოაცხადა პრეტენზია, რადგან მიხვდა, რომ ახლა ინგლისსა და ირლანდიას ვერ აჯობებდა. იმავე 2032 წლის პირველობის მასპინძლობაზე სხვებსაც ექნებათ ინტერესი, მაგრამ თურქეთმა განაცხადი იტალიასთან ერთად შეიტანა ანუ ტურნირს ეს ორი ქვეყანა უმასპინძლებს და ეს უკვე დიდი უპირატესობაა. რატომ იკლავენ ქვეყნები თავს ასეთი დიდი ფორუმის გამართვის ხელში ჩასაგდებად? მიზეზი მარტივია – სულ რაღაც ერთ თვეზე გაწელილ ევროპის ჩემპიონატს, იმ ქვეყნის ეკონომიკაში, სადაც ტარდება, რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი შეაქვს.

კლოზე – ჩემი ფეხბურთი მოკვდა

მიროსლავ კლოზე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე აქვს მედალი მოგებული. 2002 წელს, მან ვერცხლის მედალი მოიგო, 2006 და 2010 წლებში – ბრინჯაო, ხოლო 2014 წელს – ბუნდესნაკრების რიგებში, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამასთან ერთად, მუნდიალის ფინალურ ეტაპებზე გატანილი 16 გოლით, კლოზე ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

„ფეხბურთი, რომელიც მე ვიცოდი, უბრალოდ, აღარ არსებობს, ის მოკვდა. როცა კარიერას ვიწყებდი, მინდოდა, სპორტის საყვარელ სახეობაში საუკეთესო ვყოფილიყავი. ჩემი მთავარი ფიქრი და ოცნება ფეხბურთს უკავშირდებოდა და მახსოვს, კარიერის მიწურულს, „ლაციოში“ როცა ვთამაშობდი, ვარჯიშის შემდეგ, ბურთების მოგროვება დავიწყე და ახალგაზრდა თანაგუნდელმა მკითხა, ამას რატომ აკეთებ, სტადიონს 60 თანამშრომელი ჰყავსო. ისინი ვერასდროს გაიგებენ, როგორ უნდა მოეფერო ბურთს ვარჯიშამდე, ვარჯიშის დროს და მის შემდეგ. ჩემი ერთ-ერთი თანაგუნდელი სამი დღე ეძებდა ინტერნეტში ბუცებს, რათა მათი ფერი კლუბის გეტრების ფერისთვის შეეხამებინა. მათთვის მთავარი ვარცხნილობა, კონტრაქტი, მანქანა, სოციალური ქსელი და შემდეგ ფეხბურთია. ჩვენი თაობისთვის კი, ყველაფერი ფეხბურთი იყო. გული მწყდება, რომ ფეხბურთი, რომელიც მე ვიცოდი, გარდაიცვალა“, – განაცხადა კლოზემ და... მას ძალიან ბევრი ვეტერანი კოლეგა დაეთანხმა.

შეიხ მანსურს, შესაძლოა, რუსების გამო, „მანჩესტერ სიტი“ გააყიდინონ



შეიხი მანსურ ბენ ზაიდ ალ ნაჰაიანი აბუ დაბის საამიროს მმართველი სამეფო ოჯახის წევრია. 2008 წელს. სწორედ მან შეიძინა „მანჩესტერ სიტი“ და მას შემდეგ, ინგლისურმა კლუბმა შვიდჯერ – პრემიერლიგა, სამჯერ – ქვეყნის თასი, ამდენჯერვე – სუპერთასი, ექვსჯერ – ლიგის თასი, ერთხელ – უეფას სუპერთასი და ერთხელაც (წელს) – ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ასეთი მიღწევების მიხუედავად, შეიხ მანსურს, შესაძლოა, კლუბის გაყიდვა ზუსტად ისე აიძულონ, როგორც ეს 2022 წელს, სანქციების გამო, რომან აბრამოვიჩს გააკეთებინეს. რუსი ოლიგარქი მაშინ იძულებული გახდა, ლონდონის „ჩელსი“ დაეთმო.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანელმა სამართალდამცავებმა გამოძიება დაიწყეს ბრიტანეთიდან არაბეთში გადარიცხულ თანხებთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, თანხების არც თუ მცირე ნაწილი, რუსული წარმომავლობის იყო და რუს ბიზნესმენებს ეკუთვნოდა. ჰოდა, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ ფულის გათეთრებასა და სანქციებისგან თავის არიდებაში ხელს, სწორედ შეიხი მანსური უწყობდა. თუ ეს ოფიციალურად დადასტურდება, გამორიცხულია, მან კლუბის შენარჩუნება შეძლოს, კლუბის, რომელშიც რამდენიმე მილიარდი უკვე ჩადო და კლუბის, რომელიც ყველა ტურნირზე დღესაც უპირველეს ფავორიტად არის შერაცხული.

რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მე-8 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უნდა უზრუნველჰყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაცია, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

ხარვეზები ფინანსურ ანგარიშგებებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ 97% ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის აქტივებია. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 5 935 687 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრამდე პრივატიზებულია, ან გადაცემულია უვადო სარგებლობა-საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში – „დაუმთავრებელი მშენებლობა“, 2022 წლის ბოლოსთვის, შეადგენს 20 207 475 ლარს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 5 031 043 ლარის აქტივები ფაქტობრივად დასრულებულია და შესულია ექსპლუატაციაში, თუმცა ისინი შესაბამის მუხლებში არ არის გადატანილი. კერძოდ, 2 893 363 ლარი დასრულებული გზების/ხიდების მშენებლობაა, 948 738 ლარი – განხორციელებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება, ხოლო1 188 942 ლარი – ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.

„დაუმთავრებელი წარმოების მუხლში აღრიცხვის გამო, აღნიშნულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთის ხარჯი. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 5 031 043 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლის არასწორი აღრიცხვა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების არასწორ ასახვას იწვევს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) მუხლის „წმინდა აქტივი/კაპიტალი“ სისწორეზე“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ააიპ „აგროსერვის ცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლები-გრანტებით, ირიცხება 1 000 086 ლარი, საიდანაც 198 754 ლარი – საქართველოში, იაპონიის საელჩოს გრანტია. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ ვალდებული იყო, ერთი წლის განმავლობაში, მოეწყო მანდარინის სათბურ-იზოლატორები. ხელშეკრულების თანახმად, მისი შეწყვეტის, ასევე, პირობების დარღვევის ან თანხის გამოუყენებლობის შემთხვევაში, თანხა უბრუნდებოდა გრანტის გამცემს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გრანტის ფარგლებში მიღებული თანხა მხოლოდ ვალდებულებების შესრულების შემდგომ ექვემდებარებოდა შემოსავლებად აღიარებას.

ხარვეზები ცვეთაში, ამორტიზაციასა და ტრანსპორტის ხარჯებში

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთა-ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, განსაზღვროს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ ცვეთადი ამორტიზებადი აქტივის გამოყენება, ან პროდუქციის და მსგავსი ნაწარმის რაოდენობა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, ცვეთადი ამორტიზებადი აქტივების ღირებულების სისტემატური განაწილებისათვის.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ინვენტარიზაციის დროს, არ არის გადასინჯული ძირითადი და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ხოლო ცვეთის დარიცხვა განხორციელდა წინა პერიოდში მოქმედი წესის შესაბამისად, პროცენტების დარიცხვით.

ხაზინის მონაცემებით, 2022 წელს, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეულმა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 13 211 534 ლარი, მათ შორის, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი შეადგენს 3 980 912 ლარს, ხოლო ექსპლუატაციის, სათადარიგო ნაწილებისა და მათი რემონტის ხარჯები – 2 718 480 ლარს“.



მოქმედი რეგულაციებით, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება. ამასთან, ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ რიგ შემთხვევებში, სათანადო დოკუმენტური საფუძვლების გარეშე გაცემული საწვავი აღიარებულია ხარჯად, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რვა შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ჩასხმულია 405 ლიტრი და 1 467 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნულ შემთხვევებზე, შესაბამისმა უწყებამ სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინა დოკუმენტური დადასტურება ავტომობილის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს კი საწვავის ხარჯვაზე დაწესებულ კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

ნობელის მშვიდობის პრემია ირანელმა მიიღო

სტოკჰოლმში, ნობელის პრემიების მინიჭების წლევანდელი პროცედურა დასრულდა. ეს პრესტიჟული ჯილდო მშვიდობის დარგში წელს ირანელ ქალბატონს, უფლებადამცველ ნარგეს მოჰამადის გადაეცა. ის „ირანში ქალების ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ხელშეწყობისთვის“ დააჯილდოვეს. „წელს, მშვიდობის პრემია ენიჭება იმ ასობით ათას ადამიანს, რომლებმაც ხმა აიმაღლეს ირანის თეოკრატიული რეჟიმის მიერ გატარებული ქალების ჩაგვრისა და დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ“, – ნათქვამია ნობელის კომიტეტის განცხადებაში.

აქციების მონაწილეების მიერ წამოყენებული დევიზი – „ქალი-სიცოცხლე-თავისუფლება“ – ნარგეს მოჰამადის თავდადებასა და მოღვაწეობას ასახავს. სამშობლოში ის 13-ჯერ დააპატიმრეს და მთლიანობაში, 31-წლიანი პატიმრობა და 154-ჯერ გაროზგვა მიუსაჯეს.

სიზარმაცის ჩემპიონატი ქალმა მოიგო

ჩერნოგორიის სოფელ ბრეზნაში, სიზარმაცის ყოველწლიური ჩემპიონატი დასრულდა, რომლის გამარჯვებულსაც 1000 დოლარი ერგო. წლევანდელი, მე-13 შეჯიბრის გამარჯვებულია 23 წლის ლიდია მარკოვიჩი. ჩემპიონატში, სხვადასხვა ქვეყნის 21 ადამიანი მონაწილეობდა და ეს უჩვეულო შეჯიბრი 50 დღეს გაგრძელდა. ფინალში მხოლოდ ორი მონაწილე – ლიდია და ფილიპი დარჩნენ, რომლებმაც ერთად ადგომა და ფრეს გამოცხადება გადაწყვიტეს. თუმცა, მოგვიანებით, მამაკაცმა გამარჯვება მოწინააღმდეგეს დაუთმო. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე, გოგონას მშობლები თავად სთავაზობდნენ 1000 დოლარს, ოღონდაც იქიდან ამდგარიყო და სახლში წასულიყო, მაგრამ ჯიუტმა ლიდიამ უარი განაცხადა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. ლიდია მარკოვიჩი კოსმეტოლოგია ქალაქ ნიკშიჩიდან. ამ შეჯიბრისთვის ის ბოლო სამი წელი ემზადებოდა.

კბილების ამომყვან პრეპარატზე მუშაობენ

იაპონური სტარტაპის – Toregem Biopharma თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის, შექმნიან მსოფლიოში პირველ, კბილების ამომყვან პრეპარატს. მათ სამუშაოებს კიოტოს უნივერსიტეტი აფინანსებს. შემუშავებულმა წამალმა უნდა იმოქმედოს კბილების ჩანასახებზე – კბილის ქსოვილის წარმონაქმნებზე, რაც პირის ღრუში მდებარეობს. ეს ჩანასახები უნდა გაიზარდიოს სრულფასოვან კბილად, მაგრამ ხშირად ისინი ზრდას წყვეტენ და დროთა განმავლობაში ქრებიან. ვარაუდობენ, რომ პრეპარატი დათრგუნავს ცილის ზემოქმედებას, რომელიც აჩერებს ჩანასახის განვითარებას. შედეგად კი ჩამოყალიბებული ჩანასახი შეცვლის არამოსულ ან დაკარგულ კბილებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს, ამ სწავლულებმა მოახერხეს მსგავსი მეთოდით კბილების ამოყვანა მღრღნელებში. პრეპარატის პირველი კლინიკური ცდები მომავალი წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს, რათა მისი უსაფრთხოება და ეფექტიანობა დაადასტურონ.

წყალქვეშა ნავი მილიონერებისთვის

ნიდერლანდებში, მაღალსიჩქარიანი წყალქვეშა ნავი Super Sub შექმნეს მდიდრებისთვის. ეს სამადგილიანი სუბმარინი, რომლის სიგრძეც 6.5 მეტრია, საათში 18.5 კილომეტრს გადის და 300 მეტრის სიღრმეზე ჩადის. ნავი ელექტრობატარეაზე მუშაობს, რომელიც რვასაათიან ავტომონიურ ცურვას უზრუნველყოფს, უძრავ მდგომარეობაში კი წყალქვეშა ნავი 96 საათს ძლებს. ამ „სუპერნავს“ წყალქვეშ მკვეთრი შემობრუნება შეუძლია, ასევე წყლიდან ამოსვლა და ჩასვლა 45-გრადუსიანი კუთხით. გარდა ამისა, უსაფრთხოების სისტემებითაც არის აღჭურვილი და პანორამული ფანჯრებიც აქვს, ზღვის სიღრმეების ყურებით დასატკბობად. ამ აპარატის კონცეფცია ჯერ კიდევ 2021 წელს შეიმუშავეს. ჯერჯერობით, ნავი მხოლოდ ერთ ეგზემპლარად წარადგინეს, თუმცა კომპანია U-Boat Worx აპირებს, მომავალ წელს, რამდენიმე ასეთი სუბმარინი შექმნას. წყალქვეშა ნავის ღირებულება 5.44 მილიონი დოლარია.

პიკასოს ნატურმორტს აუქციონზე გაყიდიან

პაბლო პიკასოს აბსტრაქტული ტილო Compotier et Guitar, Sotheby's-ს აუქციონზე გაიყიდება. მისი წინასწარი ფასი 25 მილიონი დოლარია – ეს თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე ნახატის წინა ღირებულება. პიკასომ ტილო 1932 წელს შექმნა და ის მხატვრის ყველაზე ძვირადღირებულ ქმნილებებში შედის, რომელიც კი ოდესმე გაყიდულა აუქციონზე. ნახატზე პიკასოს შეყვარებული, ფრანგი მოდელი მარია-ტერეზა ვალტერია გამოსახული. მხატვარმა ის პირველად პარიზში, 1927 წელს ნახა, როცა ჯერ კიდევ დაქორწინებული იყო ბალერინა ოლგა ხოხლოვაზე. პიკასოს ეს ქმნილება თითქმის ორი ათეული წელია, არ გამოუტანიათ გასაყიდად, ის 2004 წლიდან კერძო კოლექციაში ინახება. ვინ არის ტილოს მფლობელი და რატომ გადაწყვიტა მისი აუქციონზე გატანა, უცნობია.

ბალიში მაგიდასთან ძილისთვის

იაპონურმა კომპანიამ Atex, ინოვაციური ბალიში შექმნა სახელწოდებით – Gogo No Makura, ანუ „სადილისშემდგომი ბალიში", რომელიც სადილობის შემდეგ, მაგიდასთან კომფორტულად დაძინების საშუალებას იძლევა. ამ ქმნილების იდეა 43 წლის ნაცუკი სატოს დაებადა, როცა შენიშნა, რომ სადილის შემდგომ, მისი კოლეგები ხშირად თვლემდნენ მაგიდასთან. ასე ძილი დაძაბულობას იწვევს მხრებსა და კისერზე, რამაც შესაძლოა, ზურგის პრობლემები და ხელების დაბუჟება გამოიწვიოს. ახალ ბალიშს პლასტმასის კონსტრუქცია აქვს, მოქნილი ფეხებით, აქვს ასევე სიცარიელე თავისთვის და რბილი ქსოვილის შალითა. ბალიშის სპეციალური ფორმა საშუალებას იძლევა, თავი და მკერდი კუნთების დაძაბვის გარეშე დაიჭიროთ. ასევე, გათვალისწინებულია მაგიდაზე ხელების ბუნებრივად დასადები ადგილიც. ბალიშის დახრის კუთხე სამ მდგომარეობაში შეგიძლიათ დაარეგულიროთ – 10-დან 45 გრადუსამდე. მასში ასევე ჩამონტაჟებულია ტაიმერი, რომელიც 60 წუთის შემდეგ, სასიამოვნო ვიბრაციით გააღვიძებს მომხმარებელს. Gogo No Makura-ს გაყიდვები ამომავალი მზის ქვეყანაში, უკვე ამ თვიდან აიღებს სტარტს, ფასი კი 60 დოლარიდან დაიწყება.

პენსიონერები საკრუიზო ლაინერზე ცხოვრობენ

პენსიონერი ცოლ-ქმარი ავსტრალიიდან, უკვე წელიწადნახევარია, საკრუიზო ლაინერის ბორტზე ცხოვრობს და მოგზაურობს. საქმე ის არის, რომ წყვილმა წინასწარ, ზედიზედ 51 კრუიზი დაჯავშნა. მარტა და ჯეს ანსენები ამტკიცებენ, რომ ეს მათ უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე მოხუცებულთა სახლში ცხოვრება. ცოლ-ქმარი ამბობს, რომ აქ კაპიტნებს ისინი ხვდებიან ბორტზე და არა – პირიქით. მოხუცები პოპულარული ადამიანები გახდნენ, ისინი მაგალითს აძლევენ სხვებსაც, ზოგი მგზავრი კი სპეციალურად ითხოვს მათთან შეხვედრას. პენსიონერები ხუმრობენ, რომ დიდხანს მოუწევთ გემზე დარჩენა, რადგან ისე მიეჩვივნენ ზღვაში ყოფნას, რომ აღარც ახსოვთ, როგორ მოამზადონ საჭმელი, ან გაასწორონ საწოლი. მოგზაური წყვილი რვა თვე კიდევ დარჩება ლაინერზე, შემდეგ, ცოტა ხნით, ხმელეთზე დაბრუნდებიან.

სწავლა ძილის წინ სჯობს



ბრიტანელმა მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ძილის წინა, მათემატიკის სწავლა ადამიანს ეხმარება, უკეთ დაიმახსოვროს შესწავლილი მასალა. სწავლულების ექსპერიმენტში 77 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ერთი კვირის გამოშვებით, დილით ან საღამოს ავსებდნენ ტესტებს. ისინი ხსნიდნენ რთულ ამოცანებს, შემდეგ კი, 10.5 საათის მერე, ტესტირებაზე გადადიოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სწავლება საღამოს მიმდინარეობდა, ხოლო გამოცდა მომდევნო დილით ტარდებოდა, შედეგები გაცილებით უკეთესი იყო. მკვლევარების მოსაზრებით, საშუალოდ, გაუმჯობესება იყო „ერთი დამატებითი ფაქტის დამახსოვრების" ტოლფასი. ბრიტანელთა კვლევა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ძილი ხელს უწყობს მეხსიერებასა და სწავლას.

ყავის ალტერნატივა დაასახელეს

ყავა ცნობილია, როგორც ბევრი სასარგებლო ნაერთის შემცველი სასმელი, თუმცა ამასთან, მისი მირთმევა ყველასთვის არ შეიძლება. სპეციალისტები გვირჩევენ, ამ გამამხნევებელი სასმელის ალტერნატივა მოვძებნოთ – პროდუქტები, რომლებიც ყავის მსგავს აქტიურ ნაერთებს შეიცავენ. მაგალითად, ორი ასეთი სასარგებლო ნაერთი, რომლებსაც ყავის მარცვლები შეიცავენ, ყავის მჟავა და ქლოროგენის მჟავაა. პირველს შეიცავს ფინიკი, შავი ქლიავი, ზეთისხილი, კარტოფილი, მზესუმზირა, დარიჩინი, კოჭა, ანისი, პიტნა და სხვა. ქლოროგენის მჟავას კი შავი ქლიავი, მოცვი, ვაშლი, მსხალი, ატამი... კვლევათა უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ ეს ნაერთები ზემოქმედებას ახდენენ სასიგნალო გზებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ქრონიკული დაავადებების, მათ შორის, სიმსივნის განვითარებასაც. ეს ნაერთები ანეიტრალებენ თავისუფალ რადიკალებს. თაგვებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭამის შემდეგ, ყავისა და ქლოროგენული მჟავები სისხლში შაქრის დონის მატებას არ იწვევს.

სიცხის დამწევი ადამიანის ქცევას ცვლის

ამერიკელმა სწავლულებმა ორეგონისა და ოჰაიოს უნივერსიტეტებიდან დაადგინეს, რომ ყველაზე გავრცელებული სიცხის დამწევი პრეპარატი – „პარაცეტამოლი“ ჩვენს ქცევას ცვლის. მედიკამენტს, რომელიც „პანადოლის“, „ტაილენოლის“ ან „აცეტამინოფენის“ სახელითაა ცნობილი და ტკივილაგამაყუჩებელ და სიცხის დამწევ საშუალებად ვიყენებთ, შეუძლია, უფრო რისკიანიც გაგვხადოს. ექსპერიმენტებში 545 მოხალისე მონაწილეობდა. შედეგად გამოვლინდა, რომ იმ პირებს, რომლებიც „პარაცეტამოლის“ მოქმედების ქვეშ იყვნენ, მარცხის ნაკლებად ეშინოდათ და მეტად რისკიანები იყვნენ. მოხალისეთა მეორე ნაწილი, რომელთაც მხოლოდ პლაცებო მიიღეს, მეტი თავშეკავებულობით გამოირჩეოდა. ასეთივე ეფექტი გამოიკვეთა ჩატარებული გამოკითხვებითაც. სწავლულთა მოსაზრებით, ამის მიზეზი, შესაძლოა, პრეპარატის მიერ შფოთვის შემცირება იყოს.

ოპერაციით ფეხები გაიწელა

კოლუმბიელმა იეფერსონ კოსიომ საკმაოდ მტკივნეული ოპერაცია გადაიტანა, რათა საბოლოოდ, სიმაღლეში გაზრდილიყო. 29 წლის მამაკაცი აცხადებს, რომ ამ პროცედურით, ის 10 სანტიმეტრით „გაიზარდა“. „ორი წლის წინ, ფეხებზე პრობლემა შემექმნა და მივიღე გადაწყვეტილება, ოპერაცია გამეკეთებინა. წინასწარ შევისწავლე ფეხების „გაწელვის“ პროცედურა, შევხვდი ადამიანებს და აღმოვაჩინე, რომ რეალურად, ეს შესაძლებელია“, – აცხადებს კოსიო.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, კოლუმბიელის სიმაღლე არც ისე ცოტას – 1.77 სანტიმეტრს შეადგენდა. მამაკაცის თქმით, ეს ოპერაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა.

სად არის სამოთხე ზარმაცებისთვის?

ევროპაში ფართოდ გავრცელებული მითები საკურორტო ქვეყნების მცხოვრებთა სიზარმაცეზე, მართლაც მოგონილი აღმოჩნდა. ასეთი მონაცემები დადო ევროპულმა სტატისტიკურმა სამმართველომ (ევროსტატი), რომელმაც „ბებერი კონტინენტის“ ის ქვეყნები გამოავლინა, სადაც ყველაზე ნაკლები და ყველაზე მეტი მუშაობა დაგჭირდებათ. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო კვირა აქვთ საბერძნეთში, ყველაზე მოკლე – ნიდერლანდებსა და გერმანიაში. ევროპის 20-დან 64 წლამდე მცხოვრებლები, საშუალოდ, 37.5 საათს მუშაობენ. ყველაზე ნაკლებს ნიდერლანდებში – 33.2 საათი, გერმანიასა და დანიაში – 35.3 საათი, მეოთხე ადგილზეა ნორვეგია, რომელიც ლიდერებს არც ისე დიდად ჩამორჩება – 35.5 საათი. ყველაზე მეტს, როგორც უკვე ვთქით, „ზარმაცი“ ბერძნები მუშაობენ – 41 საათი კვირაში, თუმცა ეს რეკორდი არ არის. ევროკავშირის საზღვრებს გარეთ, ყველაზე მშრომელები სერბები აღმოჩნდნენ – 43.3 საათი, მათ მოჰყვებიან პოლონელები, რუმინელები და ბულგარელები – 40.2 საათი. საკმაოდ მშრომელები ცხოვრობენ პორტუგალიაში – 39.9 საათი, ჩეხეთში, სლოვენიასა და ხორვატიაში – 39.6 საათი. ავსტრიასა და შვეიცარიაში სამუშაო კვირა 36 საათია, ესპანეთში – 37.6, ხოლო იტალიასა და საფრანგეთში – 37.4 საათი.

იაპონელების უჩვეულო დელიკატესი

ბევრ ზეთში შემწვარი ნეკერჩხლის ფოთლები ახალი კულინარიული ტრენდია ამომავალი მზის ქვეყანაში. მისი დაგემოვნება მსურველებს ქალაქ ოსაკაში შეუძლიათ. კერძს „მომიძი“ უწოდეს – ნეკერჩხლის ადგილობრივი სახეობის მიხედვით. პირის ახალი ჩასატკბარუნებლის მოსამზადებლად საჭიროა, ერთი წლის განმავლობაში, მარილიან წყალში გამოყვანილი ფოთლები და ტკბილი ცომი. მათ ნარევს ბევრ ზეთში, 20 წუთის განმავლობაში წვავენ. მზა კერძს კი, როგორც ცხელს, ასევე – ცივსაც სიამოვნებით მიირთმევენ. „მომიძის“ ნეკერჩხალი ოსაკას სიმბოლოდ ითვლება, ამ ხის გამოსახულება ქალაქის საკანალიზაციო ჭების თავსახურებსაც კი ამშვენებს.

ტარაკანების მოშენება სარფიანი ბიზნესია

ქალაქ სიჩანში მდებარე ჩინურ ფარმაცევტულ კომპანიას ყოველწლიურად 6 მილიარდზე მეტი ტარაკანი გამოჰყავს. ვისაც ამ მწერების ატანა არ აქვს, გაოგნებულები არიან ამ ფაქტით, არადა, ტარაკანების მოშენება, თურმე, სარფიანი ბიზნესია. განსაკუთრებით, ჩინეთში, სადაც ადამიანებს სჯერათ, რომ ამ მწერებს სარგებელი მოაქვთ მათი ჯანმრთელობისთვის. ტარაკანებისთვის ორი უზარმაზარი საფეხბურთო მინდვრის ზომის შენობა გამოიყენება. შიგნით თაროებია განლაგებული – საჭმლითა და წყლით. შენობებში საჭირო ტემპერატურა, მაღალი ტენიანობა და სუსტი განათებაა. იქ ტარაკანები თავს თავისუფლად გრძნობენ და სწრაფად მრავლდებიან. მათი სამყოფელი „სმარტ“-ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. უკვე მოზრდილ მწერებს ტრადიციული სამედიცინო ნაყენისთვის – „კანფუსუნისთვის“ იყენებენ. მას კუჭ-ნაწლავისა და ფილტვების პათოლოგიებისას იღებენ. ის განსაკუთრებით „უყვართ“ ხანდაზმულებს და თანაც, საკმაოდ იაფი ღირს.

ართრიტს „ვაქცინით“ შეებრძოლებიან

ცოტა ხნის წინ, მეცნირებმა ართროზით დაავადებული ადამიანები დააიმედეს, რომ ვაქცინა შექმნეს, რომელიც მათ ამ დაავადების სიმპტომებისგან იხსნის. ოსტეოართროზით დიდ ბრიტანეთში, დაახლოებით, 9 მილიონი ადამიანი იტანჯება, აშშ-ში – 30 მილიონი. დღემდე ამ დაავადების საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს. რევმატოლოგები მას XXI საუკუნის დასაწყისის ეპიდემიად მიიჩნევენ. მკვლევარებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, შეიმუშავეს ვაქცინა, რომელიც ბლოკავს ტკივილის წყაროს – ნერვების ზრდის ფაქტორს (NGF). ჩატარებულმა კვლევებმა დამაიმედებელი შედეგები მოიტანა. ვაქცინა იმუნურ სისტემას ამუშავებს, ის იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას, რომლებიც უტევენ NGF-ს. პრეპარატი მღრღნელებზე გამოსცადეს და მან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ცხოველებს ტკივილი.

დედის რძე ლაბორატორიიდან

ამერიკულმა კომპანიამ – BIOMILQ, განაცხადა, რომ პირველებმა მიიღეს დედის რძე სარძევე ჯირკვლებიდან, რომელიც ლაბორატორიაში იყო გამოყვანილი. ანალოგი, პრაქტიკულად, ყველა სასარგებლო ცილებისა და მიკროელემენტის ნაკრებს შეიცავს, რაც ორიგინალს აქვს. ამასთან, მასში არ არის ტოქსინები დაბინძურებული გარემოდან, ალერგენები და პრეპარატების კვალი, რომელსაც ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე დედის რძეში.

„ანტისხეულების გარეშეც კი, ჩვენი პროდუქტის ბიოაქტიური შემადგენლობა უფრო მეტად ახლოსაა დედის რძესთან, ვიდრე იმ რძის ფხვნილებთან, რომლითაც ჩვილებს კვებავენ. ის ხელს შეუწყობს იმუნური სისტემისა და მიკრობიომის, ასევე, ნაწლავებისა და ტვინის განვითარებას“. ძროხის რძეზე დამზადებულ საკვებს კი ეს არ შეუძლია“, – აცხადებენ კომპანიაში. გარდა ამისა, „რძის გამოყვანა“ გაცილებით ეკოლოგიური პროცესია, ვიდრე ბავშვთა კვების ტრადიციული მეთოდები.

სტაფილო სისხლს წმენდს

სისხლში ტოქსინების, მიკრობებისა და მძიმე მეტალების დაგროვება ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს. ამ მავნე ელემენტების გამოდევნას ხელს უწყობს სწორი კვება, – ამბობენ სპეციალისტები. ამ პროცესში პირველი მნიშვნელოვანი პროდუქტია სტაფილო: ის შეიცავს „ა“, „ბე“, „ცე“ და „კა“-ვიტამინებს, ასევე ცილა გლუტატინს, რომელიც შესანიშნავად წმენდს ღვიძლს და ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. სისხლის გაწმენდას ხელს უწყობს ვაშლი, რომელიც პექტინს შეიცავს – ის მძიმე მეტალებისა და ქოლესტერინისგან წმენდს ორგანიზმს. სასარგებლოა გოგრაც, რადგან მასში გოგირდი და უამრავი ანტიოქსიდანტია.

ორშაბათი გულისთვის ცუდი დღეა

შვედმა სწავლულებმა უფსალას უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ კვირის გარკვეულ დღეს გულის შეტევის რისკი იზრდება. მათ გამოიკვლიეს 2009 და 2019 წლებში, 156 ათასი ადამიანის შემთხვევაში განვითარებული გულის შეტევები და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობისთვის ყველაზე სახიფათო დღე ორშაბათი იყო. გულის შეტევის რისკი იზრდებოდა, როცა ადამიანი ძლიერ სტრესს განიცდიდა. კვირის ზოგიერთი დღე ამ თვალსაზრისით უფრო პრობლემურად მიიჩნევა. ხანგრძლივი სტრესი ზრდის ტვინის იმ მიდამოს აქტივობას, რომელიც ემოციის დამუშავებას უკავშირდება. ეს კი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკის მატებას იწვევს. მკვლევართა მოსაზრებით, დასვენების დღეებში ადამიანები დუნდებიან, წნევა გაკონტროლებულია და გულის შეკუმშვების სიხშირეც ნორმალურია.

ძროხის რძისგან არაყი გამოხადეს

კანადელმა ომიდ მაკდონალდმა არყის წარმოება დაიწყო, რომელსაც ძროხის რძისგან ხდის. სიახლე, სახელწოდებით – Vodkow, ისევე გამოიყურება, როგორც ნებისმიერი არაყი, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ის საერთოდ არ იწვის, ტკბილი სურნელი და კარამელის გემო აქვს. ახალი სასმელის მისაღებად მწარმოებელი ულტრაგაფილტრული რძის მიღებისას მორჩენილ პროდუქტს იყენებს – მასში აღარ არის ცილები და ცხიმები, მხოლოდ ვიტამინები და ლაქტოზაა. ეს მორჩენილი მასალა ყოველთვის თავის ტკივილი იყო ფერმერებისთვის, რადგან მისგან უსაფრთხოდ თავის დასაღწევად ფულს იხდიდნენ. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა მაკდონალდმა ამ „გამოუყენებელი“ პროდუქტისგან ალკოჰოლური სასმელის დამზადება. მათ, რომლებსაც ლაქტოზის აუტანლობა აქვთ, შეუძლიათ, ახალი არაყი თამამად მიირთვან, რადგან საფუარის წყალობით, საბოლოო პროდუქტი ლაქტოზას აღარ შეიცავს.

პომიდორი ჯანმრთელობას ვნებს?

ამერიკელი კარდიოლოგი სტივენ ჰანდრი, საკუთარ წიგნში – „მცენარეთა პარადოქსი“ აცხადებს, რომ პომიდორმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს. სპეციალისტის თქმით, ეს ბაღჩეული კულტურა შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. საუბარია ლექტინებზე – ცილების სახესხვაობაზე, რომელსაც მცენარე მავნებლებისგან თავის დასაცავად გამოიმუშავებს. კარდიოლოგის თქმით, როცა ის ორგანიზმში ხვდება, ანთებით პროცესებსა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას იწვევს. ჰანდრი აცხადებს, რომ ცილის ეს სახესხვაობა არა მხოლოდ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, არამედ, ჯანმრთელ უჯრედებსაც. სწორედ პომიდორს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, თმის ცვენა, კანზე გამონაყარი, ასევე, შესაძლოა, ნაგატიური გავლენა მოახდინოს ტვინის მუშაობაზე.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.